ეროვნული ბიბლიოთეკა


# კავკასიონი

© ყოველდღიური გაზეთი №17 (86) | პარასკევი, 27 იანვარი, 1995 | ფასი 150 000 კუპონი ან 500 რუბლი


## გამოჩნდა ქართველ გენერლებზე თავდასხმის თვითმხილველი

25 იანვარს ქართველი გენერლების პაატა დათუაშვილისა და გიორგი ყარყარაშვილის მიმართ განხორციელდა ტერორისტული აქტი, რის შედეგადაც გარდაიცვალა პაატა დათუაშვილი და მძიმედ დაიჭრა გიორგი ყარყარაშვილი.

26 იანვარს გავრცელდა ინფორმაცია გიორგი ყარყარაშვილის გარდაცვალების შესახებ,რაც არასწორია. გიორგი ყარყარაშვილი 26 იანვარს 24 საათზე კვლავ სკლიფასოვსკის კლინიკაში იმყოფებოდა. დაჭრილს დაზიანებული აქვს საძილე არტერია და ხერხემალი. ოპერაციის ჩატარებას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ, რადგანაც ავადმყოფს ძალიან დაბალი წნევა აქვს, თუმცა გონება არ დაუკარგავს.

ტერორისტული აქტის დეტალებს გამოძიება დაადგენს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 25 იანვარს დილით გიორგი ყარყარაშვილს და პაატა დათუაშვილს საცხოვრებელი სახლის წინ ქუჩაში ორი უცნობი მამაკაცი ესაუბრებოდა, რა ენაზე უცნობია. თვითმხილველი ქალბატონი აცხადებს, რომ უცებ ატყდა სროლა. მან არ იცის, რა იარაღიდან ისროდნენ, თავდამსხმელების სახე ვერ დაიმახსოვრა, მაგრამ ცხადად ახსოვს, რომ ისინი სროლის შემდეგ გაიქცნენ კუთხეში მდგმი მანქანისკენ, რომლის ფერი და ნომერი არ დაუნახავს.

ტერორისტების მიერ გამოყენებული იარაღის შესახებ ორი ვერსია არსებობს — ერთის მიხედვით, თავდასხმა მაკაროვის სისტემის პისტოლეტით მოხდა, სხვები ამბობენ, რომ გენერლებს ცეცხლი ავტომატური იარაღიდან გაუხსნეს.

საქმეს იძიებს მოსკოვის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილება და გენერალური შტაბის სადაზვერვო სამმართველო.

საკუთარი ინფორმაცია

## შემთხვევათა კასკადი შემთხვევითობას აღარ ჰგავს!

ბოლო დღეებში საქართველოს ენერგოსისტემაში გახშირდა გამორთვები და აფეთქებები. 25 იანვარს 20 საათისთვის მთელი ქალაქი ბნელში ჩაიძირა, რაც დაბრალდა ქარს, რომელმაც ელექტროგადამცემი ხაზი „ქართლი“ გამორთო, გუშინ ენგურჰესის მეორე ბლოკი გამოირთო, ბოლო ორ-სამ დღეში თბილისში აფეთქდა და დაიწვა რამდენიმე ქვესადგური.

დღემდე უცნობია, რა არის ფბლსრესის ყველაზე მძლავრი მეათე ენერგობლოკის მწყობრიდან გამოსვლის მიზეზი, ნათელია მხოლოდ ის, რომ იგი წელს ზამთარში ვერ ამოქმედდება. მიზეზების დასახელება მრავლად შეიძლება, ფაქტები კი მოწმობენ, რომ საქენერგოს ხელმძღვანელობა და სამართალდამცავი ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ სტაბილურ მუშაობას როგორც თბილსრესში, ისევე რესპუბლიკის პატარა ელექტროსადგურებში.

## „ყვარლის ტყის“ საქმეში ბრალდებული შეიწყალეს

სახელმწიფოს მეთაურმა გაითვალისწინა პატიმრის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა და სასჯელი გაუნახევრა ხვიჩა ბუჭუს ძე ჯოხაძეს, რომელიც ე.წ. „ყვარლის ტყის“ საქმის გამო მიცემული იყო სამართალში. როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა განაცხადა, იგი ამ ფაქტს აფასებს, როგორც საქართველოში ჰუმანიზმის დამკვიდრებისთვის გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს.

## მშვიდობით, ჩაქაფულო!

საქართველოში ერთ დროს წამყვანი დარგი მეცხვარეობა გადაშენების პირას მივიდა, 1991 წელთან შედარებით ცხვრის სულადობა ორჯერ და მეტად შემცირდა. საზოგადოებრივ მეურნეობებში სამიათასიოდე სულიღა თუ დარჩა და ფარების შემცირების ტენდენცია გრძელდება. ამის უმთავრესი მიზეზია სუსტი საკვები ბაზა და განუწყვეტელი თავდასხმები ფერმებზე ცხვრის გატაცების მიზნით.

## სოხუმის საავადმყოფოს თანამშრომლები ითხოვენ შეიარაღებულ დაცვას

აფხაზეთში ყოველდღე უარესდება კრიმინოგენული ვითარება. ხშირია კრიმინალური ჯგუფების თავდასხმები სამედიცინო დაწესებულებებზე.

ამ დღეებში სეპარატისტთა რადიომ სოხუმიდან გადასცა ცნობა იმის შესახებ, რომ სოხუმში მდებარე რესპუბლიკური საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალმა მიმართა აფხაზურ ხელმძღვანელობას, რომ საავადმყოფოს შეიარაღებული დაცვა გამოუყონ ღამის საათებში.

ამ საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ლევ აჩბამ მოახსენა აფხაზურ მთავრობას, რომ იმის შემდეგ, რაც ამ სამედიცინო ობიექტს მოუხსნეს სამხედრო ჰოსპიტალის სტატუსი, საავადმყოფო განიცდის კვების პროდუქტების დეფიციტს — არ არის კვება არც პაციენტებისთვის, არც იმ სამორიგეო ბრიგადებისთვის, რომლებიც მუშაობენ ღამის საათებში.

„საქინფორმზე“ დაყრდნობით

## რუსეთმა საკუთარი ხელით გაითხარა ორმო

### საქართველოში განლაგებული სამშვიდობო ძალები დაგვიცავენ ჩეჩნებისგან

სეპარატიზმი — საუკუნის სენია

სახელმწიფოები იყოფიან, მრავლდებიან, ითხოვენ დამოუკიდებლობას, უფლებას — თავად იყვნენ საკუთარი ბუნებრივი რესურსების ბატონ-პატრონნი, თავად გადაწყვიტონ საკუთარი ეთნიკურად ერთგვაროვანი ხალხის ბედი. ყოველთვის ჩამოგითვლიან უტყუარ მიზეზებს, თუ რატომ სურთ გამოყოფა — ისტორი-



ულს, ეკონომიკურს, რელიგიურს, პოლიტიკურს, როგორსაც ინებებთ. მაგრამ, როგორი დამაჯერებელიც არ უნდა იყოს ეს არგუმენტები, მათ საპირისპიროდ ყოველთვის მოიძებნება არანაკლებ დამაჯერებელი და თქვენ ვერასდროს გაერკვევით, რომელია მართალი, ვინ ვის ჩაგრავს, ვინ ვის ავიწროვებს, ვინ ვის ანადგურებს. მაშინ იძულებული გახდებით, ან პირადი სიმპათიებით იხელმძღვანელოთ და ერთ-ერთის მხარე დაიჭიროთ, ან ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტოთ — გამოყოფა შეიძლება თუ არა, და შემდეგ კი არჩეული პოზიციის მიხედვით იმოქმედოთ.

მაგალითად, თუ ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერის თვითგამორკვევის უფლება, მაშინ ამგვარი პრინციპული პოზიცია ყველა შემთხვევაში ერთნაირი უნდა იყოს და არა მხოლოდ ჩეჩნეთის, არამედ დნესტრისპირეთის, ყარაბაღის, ყირიმისა და აფხაზეთის მიმართაც. ჩვენ კი ყველაფერი პირიქით გამოგვივიდა. როცა ჩეჩნეთი ცეცხლის ალში გაეხვა, საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ საზღვრების ურღვევობის პრინციპის სამართლიანობა, თუმცა, მეზობელ სახელმწიფოებში, რუსეთი ყოველმხრივ იცავდა სეპარატიმზს და დამოუკიდებლობლობისთვის მებრძოლებს არა მხოლოდ იარაღით ამარაგებდა, უშუალო სამხედრო დახმარებასაც კი უწევდა. აფხაზეთში სუვერენიტეტისთვის შეურიგებელი ბრძოლის ცეცხლი მხოლოდ მაშინ შენელდა, როცა რუსეთმა საქართველოსა და მისსავე ავტონომიურ რესპუბლიკას შორის სამშვიდობო ჯარები ჩააყენა.

რა გასაკვირია, რომ დღეს, სახელმწიფოები, რომლებმაც თავად გამოცადეს სეპარატიზმის სიმწარე, დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს ჩეჩნეთის დამორჩილებას; მათ ვერ შეძლეს საკუთარი თავაწყვეტილი ავტონომიების დაბრუნება იქნებ იმიტომ, რომ საკმარისი სიმტკიცე ვერ გამოიჩინეს. საინტერესოა, რას შეძლებს რუსეთი. თუკი შეძლო, ესე იგი, სწორედ ასე უნდა იმოქმედო მომავალშიაც, ცეცხლითა და მახვილით უნდა დაიმორჩილო ამბოხებული ტერიტორიები.

მაგალითი ჩვენ ვუჩვენეთ. უკვე ცადეს ჩვენთვის მოეაბაძათ. საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა განაცხადა — იმის გამო, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები ვერ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს,მოგვიწევს საკუთარი ძალებით დავაბრუნოთ ლტოლვილები აფხაზეთშიო. 14 იანვარს (უნდა იყოს 13 იანვარი — მთარგმ.) 700 კაცი, მათ შორის 300 მათგანი შეიარაღებული, ჩასხდა სადღაც და როგორღაც მოპოვებულ 15 „იკარუსში“ და აფხაზეთის გასათავისუფლებლად გაემგზავრა. ავტობუსებს გარდა „განმათავისუფლებლებს“ ჰქონდათ რამდენიმე მსუბუქი მანქანა და ერთი ჯავშანტრანსპორტიორი. შინაგანმა ჯარმა გორის რაიონში 7 ავტობუსი დააკავა. 6-მა „იკარუსმა“ გზა განაგრძო დასავლეთ საქართველოს ქალაქ სენაკის მიმართულებით.

საღამოს, სენაკში გადაფრინდა თავად უშიშროების მინისტრი გიორგაძე, რომელიც პირადად ჩაუდგა სათავეში შინაგანი ჯარისა და სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის მიერ ჩატარებულ ოპერაციას. დილისთვის კიტოვანი და 6 ავტობუსი დააკავეს. 5 კაცი დაიჭრა, არავინ მოუკლავთ. დაკავებულია 700 ადამიანი — პრაქტიკულად, ლაშქრობის ყველა მონაწილე. კიტოვანს იარაღის უკანონოდ შენახვისთვის 10 წლით პატიმრობა ემუქრება. დაპატიმრებამ კიტოვანი უკიდურესობამდე გააოცა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ დეპუტატის ხელშეუხებლობის სტატუსი დაიცავდა მის მსგავსი უსიამოვნებისგან.



დაკავებულთა შორის აღმოჩნდა ყოვლად გასაოცარი პიროვნება, ვინმე ვალერი ვლადიმერის ძე ფესიუნი, რომელმაც დაკავებისას სამი პირადობის მოწმობა წარმოადგინა: ერთი კრასნოდარის მხარის გაზეთის ჟურნალისტის, მეორე — რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატების სიაში არარსებული დეპუტატ ოსიპოვის კონსულტანტის და მესამე — კრასნოდარის მხარეში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წარმომადგენლისა. თავად კიტოვანმა დაკითხვაზე განაცხადა, რომ ყველაფერი შეთანხმებული ჰქონდა სამშვიდობო ძალებთან, რუსი სამხედროები გაფრთხილებულნი იყვნენ ლაშქრობის შესახებ და, უფრო მეტიც, ისინი დაპირდნენ, რომ დაეხმარებოდნენ საზღვრის გადალახვასა და ლტოლვილების გალის რაიონში გადაყვანაში.

იხილეთ მე—2 გვ.

### როგორ ჩაუვარდა ამერიკის დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს ნიკიტა ხრუშჩოვის საიდუმლო მოხსენება სკკპ XX ყრილობაზე

იხ. მე-3 გვერდი.

პრესმერიდიანი

## რუსეთის პრესა ჩეჩნეთის კრიზისზე

გუშინდელ რუსულ გაზეთებში ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ ცნობები ძირითადად მიმოხილვით ხასიათს ატარებს. **„როსიისკაია გაზეტა“** ყურადღებას ამახვილებს გროზნოში გატარებულ გეგმაზომიერ ღონისძიებებზე დუდაევის ბოევიკებისგან ქალაქის გაწმენდის საქმეში, რომელსაც ატარებენ შინაგანი ჯარებისა და მილიციის ნაწილები.

**„იზვესტია“** იძლევა ჩანახატებს გროზნოს აეროპორტის დღევანდელი ცხოვრებიდან, რომლის მიდამოებიც „იგივე მოწინავე ხაზია, ოღონდ ზურგის ელემენტებით“.

**„კრასნაია ზვეზდა“** აქვეყნებს მასალას ჩეჩნეთში რუსეთის სარკინიგზო ჯარების ფედერალური სამმართველოს ნაწილების მუშაობის შესახებ, რომლებსაც უწევთ მათთვის უჩვეულო საქმის კეთება-საბრძოლო მოქმედება.

მრავალი გაზეთი კომენტარს უკეთებს პრეზიდენტის ბრძანებას ვლადიმერ პოლევანოვის რუსეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის და რუსეთის ფედერაციის ქონების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

**„როსიისკიე ვესტი“-ს** აზრით, ვ.პოლევანოვის გადაყენება „იმ ძალებისთვის მიყენებული დარტყმაა, რომელთაც ქონების ხელახალი გადანაწილება უნდათ“. „პრივატიზაციის მეორე ეტაპი პოლევანოვის შესრულებით შეიძლება მისი დასასრული გამხდარიყო“, — ამტკიცებს გაზეთი.

ამავე დროს **„იზვესტია“** და **„ნეზავისიმაია გაზეტა“** აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ვ.პოლევანოვი, რომელმაც პრივატიზაციის გატარების დროს მრავალი ბრალდება წამოაყენა ანატოლი ჩუბაისის მისამართით, უბრალოდ კი არ განთავისუფლდა თანამდებობიდან, არამედ გადაყვანილ იქნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის საკონტროლო სამმართველოს უფროსის მოადგილედ. „პოლევანოვი გახდა „კონტროლიორი“, რაც ჩუბაისს შვებას არ მოუტანს“, — მიიჩნევს „იზვესტია“. „პოლევანოვი — პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყველაზე სასარგებლო მონაპოვარია ბოლო დროს და მისი პოზიციები შეიძლება შეფასდეს სხვადასხვანაირად, მაგრამ არა წაგებულად“, — დარწმუნებულია „ნეზავისიმაია გაზეტა“.

**„კომსომოლსკაია პრავდა“** აქვეყნებს იუსტიციის ყოფილი მინისტრის იური კალმიკოვის სტატიას „უშიშროების საბჭო — ჩვენი დღეების პოლიტბიურო“, რომელშიც ავტორი მიუთითებს, რომ დღემდე არ არსებობს ფედერალური კანონი, რომელმაც უნდა განსაზღვროს უშიშროების საბჭოს სტატუსი. ი.კალმიკოვის აზრით, უშიშროების საბჭო მხოლოდ სათათბირო ორგანოა, რომელიც უნდა ეხმარებოდეს პარლამენტს. მას არ შეუძლია სხვებისთვის სავალდებულო გადაწყვეტილების მიღება.

„დემოკრატებმა კი არ მოიყვანეს ელცინი ხელისუფლებაში, არამედ მან ისინი“, — ასეთი სათაურით **„როსიისკაია გაზეტა“** აქვეყნებს ძალთა განლაგების პროგნოზს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. „მოსალოდნელია, რომ გაიმარჯვებს ისევ და ისევ „დემოკრატიული“ კანდიდატი“, — წერს გაზეთი —მეორე ტურში ნებისმიერი ასეთი კანდიდატი, თუ იგი „ძლიერი პიროვნება“ აღმოჩნდება, ან ადამიანი, რომელიც თავს გამოიჩენს „პატრიოტულ-სახელმწიფოებრივი“ კუთხით, მოუგებს ზიუგანოვსაც, რუცკოისაც და ჟირინოვსკისაც“.

**„იზვესტია“** და **„კომსომოლსკაია პრავდა“** აქვეყნებენ რეცენზიებს „ოსტანკინოს“ ტელევიზიით ნაჩვენებ სამსერიან დოკუმენტურ ფილმზე სკანდალურად ცნობილი ადვოკატის — დიმიტრი იაკუბოვსკის შესახებ. აღნიშნავენ რა, რომ თვით ფილმი კარიკატურულად გამოიყურება, ღრმად გააზრებული გამოძიების პრეტენზიით, გაზეთები ყურადღებას ამახვილებენ ეთერში ფილმის გაშვების დროზე — როცა კინოს გმირი საპატიმროში იმყოფება. „კომსომოლსკაია პრავდას“ აზრით, ეს „ძალიან ჰგავს სამართალდამცავ ორგანოებზე ზემოქმედების ცდებს“. „იზვესტია“ კი გამოთქვამს ვარაუდს, რომ „ფილმი შეკვეთითაა გაკეთებული და ფული, შესაძლოა, თვით ფილმის გმირის მიერ იყოს გადახდილი“.

ომი

## ბოლო ცნობები ჩეჩნეთიდან

გუშინ გროზნოში მუშაობას შეუდგა სამხედრო პროკურატურა. მისი მთავარი მიზანია — შეიარაღებულ ძალებში კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობა. პროკურატურა მჭიდრო კავშირში მუშაობს აღდგენილ ჩეჩნეთის პროკურატურასთან, რომლის ხელმძღვანელადაც ჩეჩნეთის რესპუბლიკის დროებითი საბჭოს მიერ დაინიშნა ბეკ ბასხანოვი.

* * *

გუშინ გროზნოს ჩრდილოეთით მდებარე გორიაჩიისტოჩნიკის რაიონის ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში, ჩამოგდებულ იქნა რუსეთის -24 ტიპის 2 ვერტმფრენი, ეკიპაჟის წევრები (6 კაცი) დაიღუპნენ.

* * *

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ჩეჩნეთის ხელმძღვანელობა კვლავ ცდილობს, შეავსოს და შეინარჩუნოს უკანონო შეიარაღებული ფორმირებების რიცხვი. ხშირ შემთხვევაში ეს დაჯგუფებები ლტოლვილების ნაკადთან ერთად გადადიან და თავს აფარებენ მეზობელ რესპუბლიკებს — დაღესტანს, ინგუშეთს და ჩრდილო ოსეთს.

* * *

იტარ-საკდესი მოზდოკიდან იუწყება, რომ კონტრდაზვერვის ფედერალური სამსახურის მიერ აყვანილია უკრაინელი დაქირავებული — ვინმე ო.ხარჩუკი. როგორც მან განაცხადა, კონტრაქტის მიხედვით მისი ყოველდღიური ხელფასი შეადგენდა 500 დოლარს, ხოლო თუ 10 დღე-ღამის განმავლობაში იგი მოკლავდა 10 რუს ოფიცერს, იგი მიიღებდა პრემიას. კონტრაქტის დარღვევის საფასური კი სიცოცხლე იყო.

ჩეჩნები აქტიურად ემზადებიან პარტიზანული ომისთვის. ძნელად მისადგომ რაიონებში ქმნიან ახალ სამხედრო ბაზებსა და სურსათისა და ტყვია-წამლის საწყობებს.

* * *

ბოევიკების მხრიდან პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად ადგილობრივი მოსახლეობა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებზე აყენებს დაცვას. არის ბოევიკებსა და მოსახლეობას შორის შეტაკების შემთხვევები. მაგალითად, გუდერმესის უხუცესებმა, შეიარაღებული დაჯგუფების მეთაურ ნადუევისგან მოითხოვეს გასულიყო ქალაქიდან, რათა არ შექმნილიყო დაბომბვის ან საომარი მოქმედების საფრთხე ქალაქის ტერიტორიაზე.



კავკასიონი
პარასკევი, 27 იანვარი, 1995
პოლიტიკა / ეკონომიკა / საზოგადოება
№17 (86)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესმერიდიანი

# რუსეთმა საკუთარი ხელით გაითხარა ორმო

პირველი გვერდიდან

ის, რომ აფხაზეთში ლაშქრობა შეთანხმებული იყო რუს სამხედროებთან, როგორც ჩანს, მომხდარის ერთი ვერსიაა.

მეორე ვერსია თენგიზ სიგუას, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტში კიტოვანის თანამებრძოლს ეკუთვნის. იგი ლაშქრობაში არ მონაწილეობდა და არც დაუპატიმრებიათ. სიგუას აზრით, კიტოვანი აცნობიერებს აფხაზეთის სტიქიური დალაშქვრის აბსურდულობას. ფაქტობრივად, მას სურდა, საქმის კურსში ჩაეყენებინა ხელისუფლება, რომ მისი ორგანიზაცია მზადაა გადამჭრელი ზომების მისაღებად. უნდოდა ბიძგი მიეცა შევარდნაძისთვის, რომ მას, ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო დონეზე გადაეჭრა აფხაზეთში დაბრუნების საკითხი. იგეგმებოდა სენაკში შეჩერება, შტაბის ჩამოყალიბება, იარაღის მოგროვება. ვარაუდობდნენ, რომ ამბოხებულებს შეუერთდებოდა ათასობით ლტოლვილი, რომლებსაც წასასვლელი მაინც არსად აქვთ. ზვიადისტების რაზმებიდანაც, რომლებიც დღემდე დაეხეტებიან დასავლეთ საქართველოში, ელოდნენ შევსებას. დიდია ალბათობა, რომ კიტოვანი მთელ ძალებს თავს მოუყრიდა და აფხაზეთის ნაცვლად თბილისზე გამოილაშქრებდა მორიგი სახელმწიფო გადატრიალების მიზნით.

ჩეჩნეთში რუსეთის ძალისმიერი ქმედება, ცხადია, სამაგალითოა, მაგრამ ისიც მაგალთია, რომ რუსეთი ჩეჩენთა წინააღმდეგობას ვერ ძლევს. თითქოს გაფრთხილებაა, ძალისმიერი ქმედებით რა შეიძლება დაიტეხო თავს. ასე რომ, საქართველოს ხელისუფლება არ ჩქარობს რუსი სამხედროების გმირობის გამეორებას. ქართული სამთავრობო ჯარების აფხაზეთის ტერიტორიაზე შეჭრის ალბათობა, პრაქტიკულად, ნოლს უდრის. ოფიციალური თბილისი განსაკუთრებულად არ დაუმწუხრებია იმ ფაქტს, რომ ფედერაციის საბჭომ სამშვიდობო ჯარებს კონფლიქტის ზონაში ყოფნის ვადა გაუხანგრძლივა. სამშვიდობო ჯარები თუნდაც უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ხელს უშლიან ათასი ჯურის უკანონოდ შეიარაღებულებს, რომლებითაც გაძეძგილია აფხაზეთი.

აფხაზეთს კი საკუთარი პრობლემები აწუხებს. იქ არნახულად თანაუგრძნობენ ჩეჩნებს. სიტუაციაც ერთგვარია. აფხაზეთი საქართველოსგან დამოუკიდებლად არსებობისთვის იბრძოდა, ჩეჩნეთიც რუსეთისგან დამოუკიდებელი არსებობისთვის იბრძვის. ამასთან, აფხაზეთის მხარეს ბევრმა ჩეჩენმა იომა და ფასდაუდებელი ამაგიც დასდო მას. და კიდევ, აფხაზეთის ხელისუფლებაში თავდაცვის მინისტრის, შტაბის უფროსის, მილიციის უფროსის მოადგილეები ჩეჩნები არიან. ბოლოს, არსებობს მთიელ ხალხთა ძმობა. ახლა ჩეჩნებს რომ არ დაეხმარონ, მეტი სირცხვილი აფხაზეთისთვის წარმოუდგენელია.

ღიად დახმარება შეუძლებელია, რადგან აფხაზეთის აწმყო და მყოფადი ასი პროცენტით რუსეთზეა დამოკიდებული. აფხაზეთის ხელმძღვანელობას ჩეჩნეთის მხარდამჭერი ოფიციალური განცხადებები არ გაუკეთებია (ვლადისლავ არძინბამ ჰააგაში დაადასტურა, რომ აფხაზეთი ჩეჩნეთს მხარს უჭერს და ეხმარება ცოცხალი ძალით. როგორც ჩანს, სტატიის ავტორისთვის ეს ფაქტი უცნობი იყო. მთარგმ.). და არც მომავალში გააკეთებს, მაგრამ მოქალაქეებს ხომ შეუძლიათ, პირადად დაეხმარონ, ვისაც სურთ განსაკუთრებით, როცა ხელისუფლება წინ არ ეღობებათ. ასეც ხდება, რასაც თვითმხილველები ადასტურებენ, მაგალითად, რუსეთის სამშვიდობო ოპერაციაზე პასუხისმგებელმა გენერალმა კონდრატიევმა სოხუმში ყოფნისას თავად იხილა, როგორ ატყობინებდა სახელმწიფო ტელევიზია ჩეჩნეთში მიმავალ მოხალისეებს შეკრების დროსა და ადგილს.

რუსული სამშვიდობო ჯარების გენერლის — იაკუშევის ფიცით გაჯერებული მტკიცება, რომ კოდორის ხეობა მთლიანად ექვემდებარება კონტროლს, ისეთივე სიმართლეა, როგორც გროზნოს ალყის და მისი კონტროლს დაქვემდებარების ფაქტი. აფხაზეთში სამშვიდობო ჯარი 1200 მეომარს ითვლის. როგორ შეუძლიათ მათ, თვალყური ადევნონ ასობით კილომეტრზე გაჭიმულ მთისა და ტყის ბილიკებს. ვერაფრით შეძლებენ. ახლა, ვიდრე ზამთარია და უღელტეხილები ჩაკეტილია, ჩეჩნების აფხაზეთში მასობრივი გადასვლა, ცხადია, ნაკლებ შესაძლებელია. ზაფხულში კი არა მხოლოდ გადავლენ, ადგილ-ადგილ ტექნიკასაც გადაიტანენ.

აქედან გამომდინარე, რუსეთის სამშვიდობო ჯარების ყოფნა საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე აუცილებელია. არა იმისთვის, რომ როგორც ფედერაციის საბჭო ვარაუდობს, საქართველოს აფხაზეთში შეჭრის მცდელობა შეაფერხოს და „მყიფე მშვიდობა“ შეინარჩუნოს, არამედ იმისთვის, რომ წინ აღუდგნენ აფხაზი ბოევიკებისა და იარაღის ჩეჩნეთში, და პირიქით ჩეჩნების აფხაზეთში შეღწევას. სამშვიდობო ძალებმა ჩეჩნური კონფლიქტის მთელ კავკასიაში გავრცელების საფრთხე უნდა აღკვეთონ, რომ არ ასრულდეს დუდაევის ჩანაფიქრი მთიელ ხალხთა კონფედერაციული სახელმწიფოს მექმნის შესახებ სოხუმის საზღვაო პორტით, რომელიც, მთელი მსოფლიოს მუსულმანთა დახმარებით მთიელთა ყველა პრობლემას გადაჭრის.

აფხაზეთში სეპარატიზმის მხარდაჭერით რუსეთმა საკუთარი ხელით, შეგნებულად შეიქმნა წინააღმდეგობის მძლავრი კერა, წინააღმდეგობისა საკუთარ თავთან და ახლა თავადვე გმირულად იბრძოლებს მის წინააღმდეგ.

რუსეთი საკუთარი არათანმიმდევრულობის მძევლად იქცა, ჩვეულებრივ, ასეც ხდება. წესი ყველასთვის წესი უნდა იყოს. ან შეიძლება გამოყოფა, ან — არ შეიძლება. ყველასთვის ერთნაირად. რუსეთშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

**იულია კალინინა**,
„მოსკოვსკი კომსომოლეცი“,
24.I.95

თვალსაზრისი

# კონსტიტუციის პრეამბულასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა თავის დამამთავრებელ ფაზაში შედის, რაც ქვეყნის სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. სახელმწიფოს ამ ძირითად კანონს, რომელიც თავისი არსით პოლიტიკურ და იურიდიული ნორმების სინთეზს წარმოადგენს, აქვს არა მხოლოდ დიდი საშინაო, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობა. იგი თავისებური სავიზიტო ბარათი გახდება მსოფლიო ცივილიზაციის სისტემაში დემოკრატიული საქართველოს შესვლისთვის. სახელმწიფოებრივი ცხოვრების კონსტიტუციური მოწესრიგების გარეშე პრაქტიკულად ძალზე რთულდება როგორც საზოგადოების სწორი ხელმძღვანელობა, ისე მისი მართვა. ამასთან, კონსტიტუციამ საბოლოო პასუხი უნდა გასცეს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ბევრ მტკივნეულ საკითხს, რომლის სწორი გადაწყვეტა ჩვენი მომავალი წარმატებების საწინდარია.

ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა, რაც მოითხოვს თავის კონსტიტუციურ გადაწყვეტას, დაკავშირებულია თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს არსისა და მისი მიზნების განსაზღვრასთან. ჩვენი აზრით, ბევრი საკითხი, რაც აღნიშნულ პრობლემასთან არის დაკავშირებული, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კონსტიტუციის პრეამბულაში აისახოს. მასში უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კონსტიტუცია ეფუძნება საქართველოს რესპუბლიკის 1921 წ. კონსტიტუციის დემოკრატიულ პრინციპებს და სახელმწიფოებრივი მშენებლობის ეროვნულ ტრადიციებს. პრეამბულაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული სახელმწიფო მმართველობისა და წყობილების ფორმა, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპები, საგარეო პოლიტიკის საფუძვლები, დასახული მიზნისაკენ მიმავალ გზაზე ქვეყნის ახალი ეკონომიკური პოლიტიკა. პრეამბულაში უნდა ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფო ისწრაფვის ქვეყანაში კანონიერების პრინციპის განუხრელად გატარებისთვის და თავისი ორგანოების შექმნასა და საქმიანობას საფუძვლად უდებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს.

ყველაფერ ამაზე ლაპარაკი კონსტიტუციის პრეამბულაში აუცილებელია იმიტომაც, რომ ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივად მოშლის გამო დაკარგა თავისი გარკვეულობა და დაივიწყა სახელმწიფო მშენებლობის მდიდარი ისტორიული ტრადიციები.

მიზანშეწონილი იქნება, თუ ახალი კონსტიტუციის პრეამბულაში აღინიშნება, რომ ჩვენ ვაშენებთ არა ეროვნულ სახელმწიფოს, არამედ საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოს. დღევანდელი საქართველოს იურიდიული და ფაქტობრივი საერთაშორისო აღიარების პირობებში ეროვნული სახელმწიფოს აშენების იდეამ, ჩვენი აზრით, ამოწურა თავისი შესაძლებლობები. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოების კონსტიტუციური მშენებლობის პრაქტიკა საკმაოდ ფრთხილად ეკიდება სახელმწიფოს მოწყობას ეროვნული ნიშნით და მთელი თავისი ყურადღება გადააქვს კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფო ინსტიტუტების გამართულ მუშაობაზე.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გარდამავალი პერიოდის საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მისწრაფებას, დემოკრატიული გზით გადაწყვიტოს კონსტიტუციური მშენებლობის პრობლემები, ერთგვარად უპირისპირდება ცალმხრივად გაგებული ეროვნული სახელმწიფოს აშენების კონცეფცია, რომლის მახინჯ ფორმებსაც ნაციონალიზმამდე მივყავართ. თუ ეროვნული სახემწიფოებრიობის აღდგენას თავისი გამართლება ჰქონდა რეალური დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, დღეს ვითარება არსებითად არის შეცვლილი. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ აღადგინა თავისი დაკარგული სახელმწიფო სუვერენიტეტი. ამიტომ ახალ კონსტიტუციაში სასურველია ჩაიწეროს, რომ ჩვენ ვაშენებთ საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც თავისი იურიდიული-პოლიტიკური სტატუსით საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების სახელმწიფოებრივ გაერთიანებას წარმოადგენს. კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება მიუთითებს ქართველი ერის წამყვან როლზე ქვეყნის კონსტიტუციურ მშენებლობაში, რომელიც შერწყმული უნდა იყოს საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელთა კოლექტიურ ნებასთან. დღეს, როცა სხვადასხვა ეროვნული თუ ეთნიკური უმცირესობის საუკუნეობრივი ცხოვრების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ჩამოყალიბდა მათი კომპაქტური ერთობა, მხოლოდ გაერთიანებული ძალებით შეიძლება გადაწყდეს ახალი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ურთულესი პრობლემები. მისი უზრუნველყოფის რეალური კონსტიტუციური გარანტიების სისტემა გზას გადაუღობავს ქვეყნის შიგნით არა მარტო ეროვნულ დაპირისპირებებს, არამედ მყარ საფუძველს შექმნის აგრესიული ნაციონალიზმის გამოხდომების აღსაკვეთად, რომლის სავალალო შედეგებსაც დღემდე ვიმკით.

მსოფლიო პრაქტიკა და ჩვენი გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა უმძიმესი ტვირთი და დაძაბული შრომაა, რომელიც ქვეყნის ყველა აქტიური ეროვნული ძალის მაქსიმალურ გაერთიანებასა და შეთანხმებულ მუშაობას მოითხოვს. ქართველი ხალხის მეთაურობით ამ ძალების კონსოლიდაცია წინგადადგმული ნაბიჯი გახდება საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა და გადარჩენისთვის.

**ალექსანდრე აბესაძე**

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი
საზოგადოება „არჩევნების“ წევრი

ინტერვიუ

# რატომ მიუწევთ გული ბაზრის შესამოწმებლად

**სახელმწიფო სექტორის ვაჭრობის ქსელში პროდუქციის დეფიციტია. მაღაზიების ვიტრინები ცარიელია. დღეს თბილისელები საკოლმეურნეო ბაზრებში ყიდულობენ სურსათ-სანოვაგეს, ეს სისტემა კი ისეთივე მოუწესრიგებელი და ქაოტურია, როგორც ჩვენი ყოფა. ვინ არის დამნაშავე და სცოდავენ თუ არა სტრუქტურის მესვეურნი? გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის საუბარს ქალაქის კრწანისის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის (დახურული ბაზარი) დირექტორთან, ბატონ ჯობე დევდარიანთან.**

**— ბატონო ჯობე, ყველა თბილისელს აწუხებს შექმნილი ენერგოკრიზისი. რამდენად მოქმედებს ეს პრობლემა თქვენს ბაზარზე და რა სიძნელეების წინაშე გაყენებთ?**

— ენერგოსისტემა ბევრად განაპირობებს ჩვენი სამსახურის ნორმალურად მუშაობას. იშლება სამაცივრო კომპლექსის ფუნქციონირება, ძნელდება სანიტარული ნორმების დაცვა.

ჩვენი შენობის პირველი სართული მთლიანად მიწის ქვეშ არის განთავსებული. ელექტროენერგიის გარეშე იქ მუშაობა დღისითაც შეუძლებელია. ფაქტობრივად, მხოლოდ ნახევარი ბაზარი რჩება მუშა მდგომარეობაში. მთელი დღის განმავლობაში ველარ შემოვდივარ ბაზრის ტერიტორიაზე. დავრბივარ ერთი ინსტანციიდან მეორეში. ხან ერთი ტრანსფორმატორი დაიწვება, ხან მეორე. ერთი კაბელის შეკეთებას მეორის დაზიანება მოსდევს. მზად ვართ, ჩვენ ვითაოთ საკაბელო მეურნეობის კაპიტალური შეკეთება. ბევრი ამოგვიდგება მხარში. ფულსაც დადებენ და საქმესაც გააკეთებენ. სახელმწიფო სტრუქტურების მხარდაჭერაა საჭირო.

მადლობა ღმერთს, წყალი ბაზრობის ტერიტორიას სტაბილურად მიეწოდება და ჩვენს გასაჭირს ახალი პრობლემა არ ემატება.

**— როგორ ახერხებთ ტერიტორიიდან ნაგვის გატანას?**

— რამდენიმე ვარიანტი უკვე ვცადეთ. სახელმწიფო სტრუქტურის იმედზე დღეს ვერ იქნები. გვქონდა მასთან ხელშეკრულება გაფორმებული, მაგრამ ჩიხში მოვექეცით. მერე შევეცადეთ, კერძო პირებთან მოგვეხერხებინა გარიგება და მათ გაეტანათ რეგულარულად ნაგავი სათანადო ანაზღაურების ფასად. რამოდენიმე პარტნიორი გამოვიცვალეთ. არც ეს სისტემა გამოდგა გამართლებული. დღეს მიმდინარეობს მოლაპარაკება ფირმა „ჯორჯიანტრანზოილთან“. ვიმედოვნებთ, რომ მალე სწორედ ეს სტრუქტურა მოემსახურება ჩვენს ბაზარს.

**— საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე უამრავი კომერციული ჯიხურია განლაგებული. უშლის თუ არა ხელს მათი არსებობა თქვენს მუშაობას?**

— მე უკვე უამრავი წერილი და მიმართვა გავაგზავნე სამთავრობო სტრუქტურებსა და პარლამენტში. სულ გვპირდებიან, რომ ჯიხურებს მოაშორებენ. დღესაც დაპირებების იმედად ვართ. გვითხრეს — კვირის ბოლოს საკითხი მოგვარებული იქნებაო. ვნახოთ, რა მოჰყვება მორიგ დაპირებას, სამწუხაროდ, ამ საკითხს მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ მოვაგვარებთ. თითქმის მთლიანად ჩაკეტილია ბაზრის შემოსასვლელი. ავტომანქანით შემოსვლაზე საუბარი აღარ არის.

**— ბატონო ჯობე, ჯიხურების გვერდით ვაჭრობს ბევრი კერძო პირი. პირდაპირ ასფალტზე უწყვიათ პროდუქტი. ამ დროს ბაზარში დახლები ცარიელია. რატომ არ ხერხდება მათი ბაზრის ტერიტორიაზე განთავსება?**

— გეთანხმებით, რომ მართლაც რაღაც უნდა მოვუხერხოთ ქუჩაში მოვაჭრეებს. მათი საქმიანობა სანიტარული ნორმების დაცვის ყველა საზღვარს სცილდება. ჩვენ მზად ვართ დახლები გამოვუყოთ მსურველებს, მაგრამ მათი მხრიდან, გაურკვეველი მიზეზების გამო, წინააღმდეგობებს ვაწყდებით. მე მაინც ყველაფერს იმას ვაბრალებ, რომ ყველა გამყიდველს სურს კლიენტმა პირველად მის პროდუქციას მიაქციოს ყურადღება. ეს ტენდენცია ბაზარშიც იკვეთება. შენობის შესასვლელთან დახლები გადაჭედილია, შიგნით კი ცარიელი ადგილები მრავლადაა. შეიძლება ვიღაცამ ისიც თქვას, რომ ბაზარში მოვაჭრეებს გარკვეული დამატებითი თანხის გადახდა უხდებათ დაკავებული დახლებისთვის, მაგრამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გარწმუნებთ, ტროტუარზე მოვაჭრენიც ვიღაცას აძლევენ ფულს. ეს ვიღაცა არ ჩანს და მისი გამოვლენა ჩემი საქმე არ არის. ფაქტია, რომ ეს ფული სახელმწიფო ხაზინაში არ მიდის.

**— ბატონო ჯობე, ხომ არ დააზუსტებდით თქვენს ნათქვამს იმის თაობაზე, რომ ბაზრის ტერიტორიაზე მოვაჭრეებს უხდებათ დამატებითი თანხების გადახდა.**

— უკვე ბევრი ვისაუბრეთ ბაზრის პრობლემებზე და, ალბათ, თავად დამეთანხმებით, რომ ეს მხოლოდ ჩემი სატკივარი არ არის. ვიღაც ყაჩაღობს, ვიღაც წილს ითხოვს, თითქმის ყველამ იცის ვინ არის ეს ვიღაც. ამ დროს კი ბაზრის პრობლემების მოსაგვარებლად მოვაჭრე თუ თვეში 3000 მანეთს იხდის, ხელზე დასახვევი და ბევრი ჭორის საბაბი ხდება.

**— როგორ აგვარებთ ტერიტორიის დაცვის საკითხს?**

— როდესაც მართლა გვჭირდებოდა დაცვა, მაშინ კანონი გვიკრძალავდა შესაბამისი სამსახურის ჩამოყალიბებას. დღეს სახელმწიფომ თვითონ შემოიყვანა ხალხი. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლაშამ“ შექმნა არასაუწყებო დაცვის სამსახური და მოიპოვა სახელმწიფო სტრუქტურების დაცვის უფლება. მას ზურგს უმაგრებს მთავრობის დადგენილება და იძულებულნი ვართ, კანონს დავემორჩილოთ. მე არ მჭირდება დამატებითი ხალხი. ჩვენს სამსახურში იმდენი საიმედო ახალგაზრდაა, რომ თუ უფლებას მოგვცემენ, მზად ვართ, თავად უზრუნველვყოთ ჩვენი ტერიტორიის დაცვა.

**— კმაყოფილი ხართ თუ არა წესრიგით? აქვს თუ არა ადგილი ძალადობისა და გამოძალვის ფაქტებს?**

— უნდა აღვნიშნო, რომ ბოლო დროს მსგავსი შემთხვევები ძალიან იშვიათად ხდება. ფირმა „ლაშას“ დაცვის სამსახური ყველა მოვაჭრისგან დღეში 300-500 ათას კუპონს იღებს. უკვე საკითხავია, ღირს თუ არა ამდენი მათი გაკეთებული საქმე და სად მიდის მათ მიერ აღებული ფული.

**— ბევრი კომერციული სტრუქტურა უჩივის მაკონტროლებელი ორგანოების ხშირ სტუმრობას. თბილისის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, ფიქსირებული საფირმო გადასახადების შემოღების შემდეგ, სათანადო ინსტანციების თანხმობის გარეშე მაკონტროლებელ ორგანოებს აეკრძალათ თქვენი შემოწმება, რა შედეგები გამოიღო მერიის დადგენილებამ?**

— როგორც თავად მერიის ხელმძღვანელები აღნიშნავენ, ხშირად მათი გადაწყვეტილებები არ სრულდება. ნაკლებად სრულდება თქვენს მიერ აღნიშნული დადგენილებაც. ისევ გრძელდება მაკონტროლებელი ორგანოების რეიდები. სულ რაღდენიმე ხნის წინ ზედიზედ 5-მა ორგანომ შეამოწმა ჩვენი საქმიანობა. მათი „სტუმრობის“ შემდეგ „გვეწვია“ მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოება სამი 80 წელს გადაცილებული მოხუცის შემადგენლობით. ბაზრის შემოწმება ჩვენი დირექციის წევრების გარეშე ჩაატარეს და გამზადებული აქტი დაიდეს მაგიდაზე. მათ საუბარი საეჭვო მოთხოვნებისკენ წაიყვანეს და იძულებული გავხდი შედგენილი აქტი დამეხია. ყოფილი OBXC-ის თანამშრომლები ჩემს ასეთ ქმედებას, ალბათ, ნამდვილად არ ელოდნენ და პროკურატურაში იჩივლეს. ყველაფერს მოჰყვა პროკურატურის თანამშრომლების „ვიზიტი“. მათ შეისწავლეს ჩვენი ბაზრის მუშაობა და დაასკვნეს, რომ ყველა სასწორი 1 კგ-ზე 400 გრამს იპარავდა. გასაკვირია, როგორ შეიძლება მყიდველმა, რომელიც 1 კგ. პროდუქტს ყიდულობს, ვერ შეამჩნიოს, რომ მას 400 გრამს პარავენ. საბოლოოდ ყველაფერი გაირკვა და შემოწმებების კიდევ ერთი სერიალი მშვიდობით გადავიტანეთ.

რაც შეეხება თქვენს მიერ აღნიშნული ფიქსირებული საფირმო გადასახადების შემოღებას, არც ეს აქცია სრულდება სწორად. ყველაფერი დასახვეწია. სახელმწიფო, ბაზრის მიერ დაკავებული 4000 კვ.მ. ტერიტორიის მიხედვით, 800 აშშ დოლარის შესაბამის ეროვნულ ვალუტას გვახდევინებს. ამ დროს, არ არის გათვალისწინებული, რომ ჩვენს ტერიტორიაზე განლაგებულია საყოფაცხოვრებო მომსახურების დამოუკიდებელი ობიექტები, რომლებიც კიდევ ცალკე იხდიან ხაზინაში საფირმო გადასახადს. ჩვენ მიმართვებს მუნიციპალიტეტის ხელძღვანელობა ყურადღებას არ აქცევს.

**— ბატონო ჯობე, თქვენ უკვე დიდი ხანია ბაზრის დირექტორი ხართ. რა შეიცვალა უკანასკნელი წლების განმავლობაში. გაუარესდა თუ არა პროდუქციის ხარისხი და შემცირდა თუ არა მისი მოცულობა?**

— ბევრი რამ შეიცვალა. მე უკვე რვა წელია დირექტორის მოვალეობას ვასრულებ. გაჭირდა ყველაფრის ორგანიზება. გაწყდა კავშირები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან. ჩვენ, მართალია, წინასწარ ვიზრუნეთ და ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილნი ვართ, მაგრამ ურთიერთობების მოშლა მაინც ბევრ პრობლემას წარმოშობს.

პროდუქციის მოცულობა, გასულ წლებთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა, მგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ გაუმჯობესდა ხარისხი. ჩვენს ბაზარში შეუმოწმებელი პოდუქტი არ იყიდება. სათანადოდ ვამოწმებთ ხორცს, თევზს, რძეს და რძის ნაწარმს, ბოსტნეულს. ხილში პესტიციდების დოზის შესამოწმებელი პრეპარატები არ გაგვაჩნია. ეს პროდუქცია მხოლოდ ვიზუალურად მოწმდება, მაგრამ რესპუბლიკაში აღარ შემოდის საშიში შხამ-ქიმიკატები და ნიტრატების რაოდენობა პროდუქტში შემცირდა.

მე მაინც ოპტიმისტურად ვუყურებ მომავალს. ყველაფერს გადავიტანთ. თუ სამთავრობო სტრუქტურები ხელს შეგვიწყობენ, გაცილებით მალე დავაღწევთ თავს კრიზისულ ვითარებას.

ესაუბრა
**დავით ნინიკაშვილი**




საგამოფენო დარბაზებში

## კაფე-სალონი „მერანი“

ჟურნალ „კრიტიკის“ რედაქტორის, ბატონ ვახტანგ ხარჩილავას თაოსნობით გამომცემლობა „მერანთან“ ჩამოყალიბდა მწერალთა და ხელოვანთა კაფე-სალონი „მერანი“.

კაფე-სალონის ხელმძღვანელობა გაზაფხულიდან აპირებს საკლუბო მუშაობაზე გადასვლას. ლიტერატურითა და ხელოვნებით დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ, დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი მიძღვნილ საღამოებში.

ახლა კაფე-სალონ „მერანში“ მიმდინარეობს ახალგაზრდა მხატვრების — ქეთევან კალმახელიძის, შალვა მატუაშვილის, ჯემალ კუხალაშვილისა და ნოდარ ბადურაშვილის ფერწერულ ნამუშევართა გამოფენა-გაყიდვა. მალე ეს ნამუშევრები სხვა მხატვართა ნამუშევრებით შეიცვლება.

**ასმათ რურუა**

რომელ დღეს რა მოხდა

## 27 იანვარი

1775 — დაიბადა ფრიდრიჰ ვილჰელმ იოზეფ შელინგი, დიდი გერმანელი ფილოსოფოსი, გერმანული კლსიკური იდეალიზმის წარმომადგენელი.

1832 — დაიბადა ლუის კეროლი. ცნობილი ინგლისელი მწერალი და მათემატიკოსი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, „ალისა საოცრებათა სამყაროში“-ს ავტორი.

1844 — პარიზში გარდაიცვალა შარლ ნოდიე, ცნობილი ფრანგი მწერალი, საფრანგეთის აკადემიის წევრი.

1849 — რომში შედგა ჯუზეპე ვერდის ოპერის — „ბრძოლა ლენიაროსთან“ პრემიერა, ლიბრეტო ეკუთვნოდა ს.კამარანოს.

1905 — გაფიცვა გამოაცხადა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიამ, ნაფლეთებად აქციეს იმპერატორ ნიკოლოზ II-ის პორტრეტი, მოხდა შეტაკება კაზაკთა რაზმთან. ბათუმელ გიმნაზიელებს მხარი აუბეს თბილისის, სოხუმის, გორის, თელავის, სამტრედიის, ფოთის, ოზურგეთის, ხონის სასწავლებლებმა.

1907 — რუსეთში, კოვნოს ეპარქიაში გადაასახლეს საქართველოს ავტოკეფალიისთვის მებრძოლი, შემდგომში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი).

1932 — დაიბადა ჯემალ ლოლუა, გრაფიკოსი, საქართველოს სახალხო მხატვარი.

1940 — დახვრიტეს ცნობილი რუსი მწერალი ისააკ ბაბელი.

კავკასიონი
პარასკევი, 27 იანვარი, 1995

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინაპრები

# კიტა აბაშიძის პოლიტიკური მოღვაწეობის გზა

## დაბადებიდან 125 წლისთავთან დაკავშირებით

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში" ვკითხულობთ: „კ.აბაშიძე ვერ ამაღლდა ეროვნული საკითხის მარქსისტულ გაგებამდე და ბოლომდე ბურჟუაზიულ პოზიციებზე დარჩა". ამგვარი ფორმულირება სავსებით საკმარისი იყო იმისთვის, რომ ამა თუ იმ პიროვნების პოლიტიკური საქმიანობა ათეული წლების მანძილზე დავიწყების ხავსით დაეფარა. დღეს უკვე ჰირს ამ ხავსის მიღმა კ.აბაშიძის ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწეობის სრული სურათის წარმოდგენა.

კ.აბაშიძემ 1894 წელს დაასრულა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ერთ ხანს რაჭის მომრიგებელ შუამავლად მუშაობდა, ხოლო 1896 წელს თბილისში ჩამოვიდა.

იმხანად თბილისში მოღვაწეობას იწყებდა ქართველი ინტელიგენციის ახალი თაობა. XX საუკუნის პირველ მეოთხედში სწორედ ამ თაობამ იკისრა საქართველოს პოლიტიკური ყოფის ავ-კარგის ტვირთი. ამ შესანიშნავი პლეადის ადრეული მოღვაწეობის შემფასებელი და წარმომადგენელიც კიტა აბაშიძე იყო. თავის ერთ-ერთ პირველ ვრცელ პუბლიცისტურ წერილში „ჩვენი ახალგაზრდობა (ჩემს მეგობრებს)", რომელიც 1897 წელს ჟურნალ „მოამბეში" გამოქვეყნდა, კ.აბაშიძემ 90-იანი წლების ახალი თაობა ორ მიმართულებად დაყო. პირველ მიმართულებას შეადგენდა ერის სამსახურის იდეით გატაცებული, ცოდნით და ნიჭით დაჯილდოებული, იდეალისტურად განწყობილი თაობა, რომელიც იმავდროულად ერთგვარი პესიმიზმით იყო დაღდასმული. მეორე მიმართულებას კი წარმოადგენდა, პირიქით, მხნედ მოქმედი, ენერგიულად განწყობილი „მესამე დასელი" ახალგაზრდობა. „ის, რაც აკლია პირველ ჯგუფს ჩვენი ახალგაზრდობისას, აქვთ მათ. ხოლო ის, რაც შეადგენს მომხიბვლელობას პირველისას", აკლდათ „მესამე დასელებს" — „მაღალი ნიჭი, ღრმა ცოდნა და ნაზი გრძნობიერება".

კიტა აბაშიძე თავისი ბუნებით, განსწავლულობით, ზნეობრივი იდეალებით, ახალგაზრდობის „პირველ ჯგუფს" მიეკუთვნებოდა. ამ თაობამ 1895 წლის დასაწყისში გაზეთ „ივერიაში" მოიყარა თავი. ესენი იყვნენ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ე.წ. „ახალგაზრდა ივერიელებად" წოდებული მიმდინარეობის წარმომადგენელნი: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ აბაშიძე, გიორგი დეკანოზიშვილი, ივანე ზურაბიშვილი... „ახალგაზრდა ივერიელები" ძირითადად იზიარებდნენ ილია ჭავჭავაძისა და სამოციანელთა ძველი თაობის ეროვნულ იდეალებს, მაგრამ უფრო რადიკალურად იყვნენ განწყობილნი და კონკრეტული ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების დასახვა-განხორციელებისთვის ილვწოდნენ.

სწორედ მათ შეუერთდა კ.აბაშიძე და გაზეთ „ივერიაში" დაიწყო მუშაობა. კიტა თავის ბიძაშვილთან, პოეტ გრიგოლ აბაშიძესთან და ივანე ზურაბიშვილთან ერთად ცხოვრობდა რედაქციისავე შენობაში, თავის სამუშაო ოთახში. აქ იკრიბებოდნენ ყოველდღიურად რედაქციის თანამშრომლები: დათა მიქელაძე, ალექსანდრე და გრიგოლ ყიფშიძეები, გრიგოლ ლასხიშვილი და სხვ. ხან ილიაც გვესტუმრებოდა ხოლმეო, იგონებს ი.ზურაბიშვილი: „შეიკრიბებოდა ეს ხალხი და იმართებოდა დაუსრულებელი საუბარი". რაზეც არ უნდა ყოფილიყო ლაპარაკი, „ბოლოს მაინც ჩვენი ქვეყნის სინამდვილის ორღობეებში გადავუხვევდით". ამ „ახალგაზრდული წრის სული და გული" კიტა იყოო, დასძენს ი.ზურაბიშვილი.

1896 წლის აპრილში, კავკასიის ადმინისტრაციამ პატრიოტულ-რადიკალური მიმართულების გამო „ივერიის" რევა თვით დახურა. გაზეთის გარეშე დარჩენილმა ახალგაზრდებმა 1900 წელს ახალი გაზეთი „ცნობის ფურცელი" შეიძინეს და იქ გააგრძელეს თავიანთი პოლიტიკური იდეალების ჩამოყალიბება. ამ დროს კ.აბაშიძე დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდა: ჯერ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს „საურთიერთო ბანკის" თავმჯდომარე იყო, შემდეგ კი — საერთოდ, მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის, გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილის მოადგილე. ორივე განუყრელი მეგობარი და მოღვაწე მჭიდრო ურთიერთობას აგრძელებდა „ცნობის ფურცლის" ჯგუფთან.

1904 წლის აპრილში სწორედ „ცნობის ფურცლებმა" ჟენევის კონფერენციაზე შექმნეს საქართველოში პირველი ეროვნული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაცია — სოციალისტ-ფედერალისტების პარტია. კიტა აბაშიძე ჟენევის კონფერენციას არ ესწრებოდა. მაგრამ იგი სამართლიანად ითვლება ამ პარტიის ერთ-ერთ დამაარსებლად. თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს ცნობით, კ.აბაშიძე იყო ფედერალისტთა პარტიის პროგრამის პროექტის ერთ-ერთი ავტორი. ამ ცნობის თანახმად, არჩილ ჯორჯაძემ პროგრამის ჩამოყალიბების წინადადებით მიმართა თავის „თანამოაზრეებს": შიო ჩიტაძეს, ივანე ყიფიანს, გიორგი ზდანოვიჩს და კიტა აბაშიძეს, რომლებმაც საპროგრამო დებულებები პროექტის სახით საქართველოდან გაუგზავნეს პარიზში მყოფ არჩილ ჯორჯაძეს და გიორგი დეკანოზიშვილს.

რას მოითხოვდა სოც.-ფედერალისტების პროგრამა? პირველ ყოვლისა — ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ეროვნული სახელმწიფო უნდა აღმდგარიყო — საქართველოს ავტონომიური დემოკრატიული რესპუბლიკის სახით. ხოლო რამეთუ მაშინდელი პოლიტიკური ვითარება მეტის საშუალებას არ იძლეოდა — საქართველოს ავტონომია უნდა გაერთიანებულიყო მომავალი რუსეთის კონფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებში.

რუსეთის კონფედერაცია ქართველი ფედერალისტების პანაცეა არ ყოფილა, იგი უფრო რეალური გამოსავალი იყო. მათი შორსმიმავალი იდეალი დამოუკიდებელი საქართველო და „ევროპის შეერთებული შტატები" იყო. მაგრამ ქართველი ფედერალისტები და კ.აბაშიძეც, ბუნებით რომანტიკოსები, პოლიტიკურ რომანტიზმს არ მისდევდნენ, — პოლიტიკაში რეალისტები იყვნენ. „ღრმად დარწმუნებული ვართ, — წერდა ა.ჯორჯაძე, — რუსეთი კავკასიას თავის ნებით ხელიდან არ გაუშვებს, რაც გინდა თავისუფალი პოლიტიკური რეჟიმი დამყარდეს რუსეთში". „ჩვენ აზრად არა გვაქვს, ოცნებათა სამყაროში ვიფრინოთ. გარემოებას თვალი უნდა გავუსწოროთ... საქმე ის არის, რომ ამ პოლიტიკურ ორგანიზაციაში იმგვარი პირობები შევქმნათ, რომ ერთი მხრივ რუსეთთან ერთობაც არ შევწყვიტოთ, მეორე მხრივ, ჩვენი ეროვნება თავისუფლად განვავითაროთ".

პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში კიტა აბაშიძე ფედერალისტთა პარტიის მთავარ კომიტეტში აირჩიეს. ეს გარემოება ერთმხრივ არის საინტერესო და ხაზგასასმელი. დღეს, როცა საქართველოში სოკოებივით მომრავლებული პარტიების რიცხვი ასამდე აღწევს, კიდევ უფრო მეტია „ლიდერთა" რიცხვი, „გალიდერების" პროცესი ერთობ გაადვილებულია. მაშინდელ საქართველოში კი, როცა სულ 4-5 პარტია მოქმედებდა, ლიდერთა ჯგუფში მოხვედრა წარმოუდგენელი იყო დიდი ცოდნის, პოლიტიკური განსწავლულობისა



და პროფესიონალიზმის გარეშე. მაშინდელ პარტიათა ლიდერები დიდ პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად, ცნობილი თეორეტიკოსები და პუბლიცისტებიც იყვნენ. 1905-1907 წლებში საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარ კომიტეტში შედიოდნენ ქართველი ინტელიგენციის, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური აზროვნების ცნობილი წარმომადგენლები: გიორგი ზდანოვიჩი, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, ალექსანდრე მდივანი, ალექსანდრე ჯაბადარი, გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე და სხვ. ცოტა უფრო ადრე: არჩილ ჯორჯაძე, შიო დედაბრიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი და სხვ.

1907 წელს კ.აბაშიძე და გ. ზდანოვიჩი მთავარი კომიტეტიდან გამოვიდნენ და ფედერალისტთა პარტიის ქუთაისის კომიტეტს ჩაუდგნენ სათავეში.

1912 წელს კიტა აბაშიძე ფედერალისტთა პარტიამ თავის კანდიდატად წამოაყენა რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში. ამასთან დაკავშირებით ა.ჯორჯაძე წერდა თავის წერილში: „რატომ არის საჭირო კიტა აბაშიძის გამარჯვება": „უაღრესი მნიშვნელობა ეძლევა დღევანდელ ისტორიულ პირობებში რუსეთის პარლამენტის ტრიბუნაზე იმ პოლიტიკური მოღვაწის გამოსვლას, რომელიც აღჭურვილია ქართული ეროვნულ-პოლიტიკური თვალსაზრისით. იგი დაანახვებს ქვეყანას... რომ ქართული ეროვნული აზროვნება არსებითად და გადაჭრით დემოკრატიული და როგორც ამგვარი, ყოველთვის და ყოველგან მშრომელი ხალხის და დაჩაგრულ ერთა ინტერესების გულწრფელი და მედგარი მცველია".

სამწუხაროდ, კ.აბაშიძემ ვერ გაიმარჯვა. კავკასიის ადმინისტრაციას სულაც არ სურდა, რუსეთის პარლამენტის ტრიბუნაზე ეხილა „დაჩაგრულ ერთა მედგარი მცველი" და ხელი შეუშალა კიდეც ფედერალისტების კანდიდატის არჩევას.

სამაგიეროდ, კ.აბაშიძეს მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა რუსეთის დემოკრატიულ პოლიტიკურ წრეებში. 1917 წლის თებერვალში, მონარქიის დამხობის შემდეგ, კ.აბაშიძე დაინიშნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრად. ამის შესახებ იგონებს ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე ზურაბ ავალიშვილი, რომელიც ერთ-ერთ კანდიდატად იყო მიჩნეული ამავე თანამდებობაზე და გამოძახებულიც გახლდათ კერენსკისთან ამ საკითხზე: „კერენსკი მეტად გადაქანცული ჩანდა (მიზეზიც ჰქონდა), — წერს ზ. ავალიშვილი, — ჩვენ გადავწყვიტეთ, — დაიწყო მან გადატრიალების პირველ საბრძოლო დღეებში საბოლოოდ ჩახლეჩილი ხმით — ამიერკავკასიის სათავეში დავაყენოთ კომიტეტი, რომელშიც შევლენ სახელმწიფო სათათბიროს წევრები... ჩვენ გვინდა თქვენი შეყვანაც ამ კომიტეტში. თანახმა ხართ? თუ, თქვენი აზრით, — გულწრფელად მითხარით, — უკეთესი იქნებოდა ამ კომიტეტის წევრად კიტა აბაშიძე გაგვეხადა?..

მე მხარი დავუჭირე კიტა აბაშიძის კანდიდატურას. კერენსკი ცოტა ხანს ყოყმანობდა, მაგრამ მალე დამეთანხმა, რომ ეს არჩევანი სასურველი იყო. დროებითმა მთავრობამაც ასე გადაწყვიტა ეს საკითხი".

მაგრამ ამჯერად ამათ გამოდგა ზურაბ ავალიშვილის კეთილშობილებაც, კერენსკის არჩევანიც — მალე კიტა აბაშიძე უკურნებელმა სენმა, ხერხემლის ტუბერკულოზმა იმსხვერპლა. იგი 1917 წლის 17 დეკემბერს გარდაიცვალა 47 წლის ასაკში.

**დიმიტრი შველიძე**

თეთრი ლაქები

# «ცივი ომის» ეპოქის საიდუმლოება

## როგორ ჩაუვარდა ამერიკის დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს ნიკიტა ხრუშჩოვის საიდუმლო მოხსენება სკკპ XX ყრილობაზე

ესაა ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ ელოდა პოლონური წარმოშობის ერთი ებრაელი 38 წელი მადლობას იმისთვის, რაც მან გააკეთა. 69 წლის ვიქტორ გრაევსკი ახლა ისრაელის მოქალაქეა. სამსახური, რომელიც მან გაუწია ებრაულ სახელმწიფოს და ძალაუნებურად აშშ-ს დღემდე რჩებოდა „ცივი ომის" ერთ-ერთ უკანასკნელ საიდუმლოდ.

როგორი ძნელი წარმოსადგენიც არ უნდა იყოს ეს დღეს, „ცივი ომის" შემდგომი მშვიდობიანობის პირობებში, 1956 წელს რამდენიმე ათასი სიტყვისგან შემდგარი მოხსენება, რომლითაც გამოვიდა საბჭოთა ხელმძღვანელი, დასავლეთის სადაზვერვო სამსახურებისთვის უაღრესად ძვირფასი ინფორმაციის შემცველი წყარო იყო. ნიკიტა ხრუშჩოვი, სკკპ ცკ-ს პირველი მდივანი, ამ მოხსენებით გამოვიდა 1956 წლის თებერვალში, მას მერე, რაც გახდა ინიციატორი იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა, რომლებმაც იოსებ სტალინის შემდეგ კატაკლიზმები გამოიწვია.

### ძვირფასი ინფორმაციის წყარო

ხრუშჩოვის გამოსვლაში პირველად იყო მოცემული ოფიციალური შეფასება დანაშაულებებისა, რომლებიც სტალინმა ჩაიდინა საკუთარი ხალხის წინაშე და, რა თქმა უნდა, იქ იყო მონაცემები, რომელთა მიხედვითაც შეიძლებოდა რუსეთის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების მასშტაბების შესახებ მსჯელობა. მოგვიანებით, დცს-ს მაშინდელი ხელმძღვანელი ალენ დალესი, ოპერაციას ამ მოხსენების გაცნობის მიზნით, თავის კარიერაში ერთერთ უდიდეს მიღწევას უწოდებდა, მაგრამ მას არასდროს უთქვამს, რომ დაფნის გვირგვინი ამ საქმეში ისრაელს ეკუთვნოდა. ებრაელები, თავის მხრივ, არასოდეს ეუბნებოდნენ ამერიკელებს, თუ როგორ ჩაიგდეს ხელთ ეს დოკუმენტი.

წარმატებები სადაზვერვო საქმეში ხშირად უბრალო შემთხვევას ემყარება. ასეც მოხდა; როცა 1955 წლის დეკემბერში პოლონელი ჟურნალისტი გაფრინდა ისრაელში, ფაქტობრივად, ის იყო პირველი პოლონელი, რომელმაც მიიღო მთავრობისგან ისრაელში ტურისტად გამგზავრების ნებართვა, რათა მოენახულებინა მამა, რომელიც 1947 წელს ცოლთან და ქალიშვილთან ერთად გადასახლდა პალესტინაში. ერთი თვე, რომელიც მან ისრაელში დაყო, საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სიონისტი გამხდარიყო.

იგი დაიბადა 1925 წელს კრაკოვში, ურწმუნო ებრაელის ოჯახში, რომელიც აღმოსავლეთში გაიქცა მას შემდეგ, რაც ნაცისტებმა პოლონეთი დაიპყრეს. მთელი მეორე მსოფლიო ომის წლებში გრაევსკები ცხოვრობდნენ ყაზახეთის საბჭოთა რესპუბლიკაში, რომელიც ძირითადად მუსულმანებით იყო დასახლებული.

თუმცა ვიქტორის მშობლები და ომის შემდეგ ისრაელში გადასახლდნენ, თვითონ მან გადაწყვიტა, რომ შეძლებდა ნორმალურად ეცხოვრა პოლონეთში, რომელიც კომუნისტური სახელმწიფო გახდა. გრაევსკი შევიდა პარტიაში, დაეუფლა ჟურნალისტის პროფესიას ვარშავაში და სამუშაოდ გაანაწილეს პოლონეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო — პაპ-ში.

რამდენიმე წელიწადში მან შეძლო მიეღწია საბჭოთა კავშირიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან ინფორმაციის განყოფილების რედაქტორობისთვის, ეს მაღალი თანამდებობა მას მრავალ კარებს უღებდა ვარშავაში. გრაევსკის იწვევდნენ მიღებებზე საბჭოთა საელჩოში და სხვა პოლონელთაგან განსხვავებით, მას ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთის წარმომადგენლებთან და აღმოსავლეთ ევროპის დიპლომატებთან, რომლებსაც იგი ხვდებოდა კოქტეილებზე და სხვა ღონისძიებებზე. როცა მამამისი ავად გახდა, გრაევსკიმ აღმოაჩინა — როგორც „სახელმწიფოს მსახური" იგი იმუთი ნდობით სარგებლობდა, რომ მისი თხოვნა ვიზის მიღების შესახებ დაკმაყოფილებული იქნა.

„ისრაელი პირველი წუთებიდანვე მომეწონა", — იგონებს გრაევსკი. მას ისრაელში დარჩენა უკვე მაშინ შეეძლო, თუ კი გადააგდებდა ვარშავაში უკან დასაბრუნებელ ბილეთს, მაგრამ გრაევსკიმ შეინარჩუნა პოლონეთის კომუნისტური პარტიისადმი ერთგულება და გადაწყვიტა, ხელი კი არ ეკრა სისტემისთვის,არამედ ემუშავა მასთან.

გრაევსკი ვარშავაში დაბრუნდა 1956 წლის იანვარში, დაწერა სტატიების სერია ისრაელზე, შემდეგ კი დაწერა განცხადება ვიზის მიღების შესახებ, რომ საცხოვრებლად ისრაელში გადასულიყო.

დაახლოებით იგივე დროს მოსკოვი ემზადებოდა სკკპ XX ყრილობის ჩასატარებლად. ამ ყრილობის მთავარი მოვლენა იყო ხრუშჩოვის გამოსვლა, მაგრამ უცხოეთის დელეგაციებს, მათდა სამწუხაროდ (თუმცა ვინ გაბედავდა უკმაყოფილების გამოთქმას), დარბაზი მანამდე დაატოვებინეს, ვიდრე საბჭოთა ხელმძღვანელი ტრიბუნაზე ავიდოდა თავის საიდუმლო სიტყვის წარმოსათქმელად.

სტალინის საშინელი საქმიანობის შესახებ დაწვრილებითი ემოციური ანგარიში დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა ყრილობაზე ჩამოსული პარტიების ხელმძღვანელებზე, რომელთთვისაც სტალინი თითქმის ღმერთი იყო. ისინი მთელ აღმოსავლეთ ევროპაში ცდილობდნენ საბჭოთა რეჟიმის მსგავსი აეშენებინათ. ყრილობიდან რამდენიმე დღის შემდეგ კი ხრუშჩოვმა გადაწყვიტა, რომ თავისი გამოსვლის ტექსტის მხოლოდ შვიდი ეგზემპლარი გაეგზავნა აღმოსავლეთ ევროპის სატელიტი ქვეყნების ხელმძღვანელებისთვის. სამხედრო კურიერებმა ეს დოკუმენტი (მისი თავდაპირველი რუსული ვარიანტი) ჩაუტანეს ალბანეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, აღმოსავლეთ გერმანიის, უნგრეთის, პოლონეთისა და რუმინეთის ხელმძღვანელებს.

### საყვარლის მიერ გაწეული სამსახური

თითოეული ეგზემპლარი, რომელიც მანქანაზე გადაბეჭდილ 58 გვერდს წარმოადგენდა რუსულ ენაზე, ჩასმული იყო წითელ ყდაში — გრიფით „სრულიად საიდუმლოდ". მას თან ახლდა მკაცრი ინსტრუქცია, რომ მოხსენებას უნდა გაცნობოდა მხოლოდ ხელმძღვანელ პირთა შეზღუდული წრე. თითოეული პარტიის ხელმძღვანელს თვითონ უნდა გადაეწყვიტა, მისი მოადგილეებიდან ვინ უნდა გაცნობოდა ამ დოკუმენტს, თანაც ასლების გადაღება სასტიკად იყო აკრძალული.

ამასობაში დასავლეთის სადაზვერვო სამსახურებმა დაიწყეს ნადირობა საიდუმლო მოხსენებაზე. პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მითითებით დალესს ამ ოპერაციისთვის გამოეყო 1 მილიონი დოლარი, მაგრამ დასავლეთის საიდუმლო აგენტების მუშაობა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დედაქალაქებში უაღრესად გართულებული იყო.

როცა პოლონეთის კომპარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი ედვარდ ოხაბი გაეცნო ხრუშჩოვის მოხსენების ტექსტს, კინაღამ შეიშალა. ხრუშჩოვის მიერ სტალინის კრიტიკა, ფაქტობრივად, მწვალებლობა იყო. გულგატეხილ და აღელვებულ ოხაბს სურდა ვინმესთვის, თუნდაც თანაშემწეებისთვის თავისი აზრის გაზიარება. რამდენიმეს მისცეს ტექსტის გაცნობის საშუალება და მალე, ამის შემდეგ, ვარშავის პოლიტიკურ წრეებში გავრცელდა ცნობები, რომ არსებობს რაღაც ვრცელი და მნიშვნელოვანი მასალა, რომლის წაკითხვაც აუცილებელია.

ოხაბმა თავის წამყვანი თანამშრომლების ზემოქმედებას ვერ გაუძლო და ბრძანა რამდენიმე ასლის გადაღება. სულ მალე კომპარტიის შტაბ-ბინის კედლებში უკვე იმოწმებდნენ მოხსენებიდან საკმაოდ ვრცელ სენსაციურ ციტატებს.

ვიქტორ გრაევსკიმაც გაიგო ამ მოხსენების შესახებ, მაგრამ არა მისთვის ჩვეული საინფორმაციო წყაროებიდან. იგი გაეყარა პირველ ცოლს და ცხოვრობდა საყვარელთან, რომელსაც პარტიის სამდივნოს უზარმაზარ ბიუროკრატიულ აპარატში მაღალი თანამდებობა ეკავა. გრაევსკიმ დაარწმუნა იგი, რომ მას გამოეტანა მოხსენების ასლი კაბინეტიდან. მან იცოდა, რომ შეეძლო ამ დოკუმენტის სარფიანად მიყიდვა ამერიკელებისთვის ან სხვა დასავლელი დიპლომატებისთვის, რომლებსაც კოქტეილებზე ხვდებოდა, მაგრამ მასზე ისრაელში მოგზაურობამ ძლიერ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ სწორედ ამ ქვეყანას, თანაც სრულიად უფასოდ, ერგო ის მასალა, რომლის მოპოვებაც უდიდეს მიღწევად ითვლებოდა ნებისმიერი ქვეყნის დაზვერვისთვის. გრაევსკიმ, რომელიც აქტიური სიონისტი გახდა, გადაწყვიტა ეს მასალა ისრაელისთვის ეჩუქებინა.

თავდაპირველად მოუწია რამდენიმე ტექნიკური პრობლემის გადაჭრა. მას უნდოდა ხრუშჩოვის მოხსენების ტექსტის ფოტოგრაფირება, მაგრამ იმ ეპოქაში, ქსეროქსის გამოგონებამდე, ამისთვის ისეთი მინიატურული ფოტოაპარატი იყო საჭირო, რომელიც იმ დროს, განსაკუთრებით პოლონეთში. რიგით მოაქალაქეს ვერ ექნებოდა.

გრაევსკიმ მიმართა მეგობარს, რომელსაც იგი ენდობოდა, და რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა ვარშავაში აკრედიტებულ ისრაელის დიპლომატებთან. ამ კაცმა, რომლის გვარსაც გრაევსკი დღემდე არ ასახელებს, გადაიღო ფირზე. ორმოცდათვრამეტივე გვერდი, ფირი გადასცა ებრაელებს, ხოლო დოკუმენტი დაუბრუნა გრაევსკის პარტიის შტაბ-ბინაში დასაბრუნებლად.

ისრაელის დაზვერვის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც ვარშავაში იმყოფებოდა როგორც დიპლომატი, სასწრაფოდ გადაფრინდა ვენაში, მხოლოდ იქიდან დაუკავშირდა თავისი უწყების შტაბ-ბინას და აცნობა, თუ რა დოკუმენტი ჩაუვარდათ ხელთ.

რამდენიმე დღის შემდეგ მოხსენების ტექსტი მაგიდაზე ედო ამოს მონორს, რომელსაც მაშინ ისრაელის უშიშროების სამსახურის დირექტორის თანამდებობა ეკავა. ეს იყო შინაგანი დაზვერვის სამსახური (კონტრდაზვერვა — მთარგმნელის შენიშვნა) „შინ-ბეთის" სახელით ცნობილი. ის ფაქტი, რომ ტექსტი ტელ-ავივის მახლობლად, სანავსადგურო ქალაქ იაფაში, მანორის კაბინეტში მოხვდა, იყო ბიუროკრატიული უცნაურობების ბრალი. რატომ მოხვდა დოკუმენტი, რომელიც დიდ ღირებულებას წარმოადგენდა დაზვერვისთვის, იმ უწყების ხელში, რომლის უმთავრესი ამოცანაა კონტრდაზვერვა ქვეყნის შიგნით? განა გარე დაზვერვას სხვა მსხვილი უწყება „მოსადი" არ განაგებდა?

### წარმატების საფუძველი

სინამდვილეში ამ წარმატებისთვის საფუძველი თვით მანორმა მოამზადა, როცა თავისი აგენტები „მოსადის" აგენტებთან ერთად გააგზავნა უცხოეთში, ისრაელის საელჩოებში. მანორი, რომელიც 1918 წ. ავსტრია-უნგრეთში დაიბადა, ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკგაველილი არალეგალურად მუშაობდა ომის შემდგომ ევროპაში და ეხმარებოდა ათასობით ებრაელს მეორე მსოფლიო ომის დროს ჰოლოკაუსტის (ებრაელთა მასობრივი მოსპობა — მთარგ.) შემდეგ. იგი შეეიდა „შინ-ბეთში" და სულ მალე გაიარა გზა რიგითი თანამშრომლიდან კონტრდაზვერვის ხელმძღვანელამდე.

მისი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო აშშ-ს დარწმუნება იმაში, რომ ისრაელი მათთვის წარმოადგენს თავისუფალი სამყაროს ძვირფას ნაწილს, და არა იმ ქვეყანას, რომელიც საბჭოთა ჯაშუშებითაა გამოტენილი. 1956 წ. აპრილში „შინ-ბეთის" თანამშრომელთა კომუნისტურ ქვეყნებში გაგზავნის პრაქტიკამ, რაც კეთდებოდა ებრაელი ემიგრანტების შესამოწმებლად ისრაელში დაბრუნებამდე, მოულოდნელი და კოლოსალური დივიდენდი მოიტანა. მათ ხელთ იგდეს ხრუშჩოვის მოხსენების ტექსტი.

მანორმა, რომელმაც რუსული არ იცოდა, თავის ერთ მაღალი თანამდებობის თანამშრომელს სთხოვა ხრუშჩოვის გამოსვლის ივრიტზე გადართგმნა. გარდა ამისა „შინ-ბეთის" ხელმძღვანელმა ამ ორგანიზაციის ექსპერტებს დაავალა გასცნობოდნენ ტექსტს, რომ მისი უტყუარობა დაედგინათ. „საბჭოთა სუკ-ი — განმარტავდა იგი, — როგორც ცნობილია, დეზინფორმაციის მიზნით დოკუმენების ფაბრიკაციის საქმეში სპეციალისტი იყო. მე მსურდა დავრწმუნებულიყავი, რომ დოკუმენტი უტყუარი იყო".

აპრილის დასაწყისში მანორი გაემართა ტელ-ავივის ჩრდილოეთ რაიონში, რათა დაეითი ბენ-გურიონს (ისრაელის მაშინდელი პრემიერი) შეხვედროდა მის სახლში. იმ ქაღალდებს შორის, რომელიც პირველი პრემიერმინისტრისთვის მიჰქონდა, იყო ორიგინალური ტექსტი რუსულ ენაზე.

როცა გაიგო, რომ ამერიკელებს სურთ ამ დოკუმენტის ხელში ჩაგდება, ბენ-გურიონმა გადაწყვიტა მისი გადაცემა, რადგან ეს ისრაელისთვის მომგებიან ნაბიჯად ჩათვალა. მან ამაში დაინახა ხუთი წლის წინ ვაშინგტონში სადაზვერვო სამსახურებს შორის თანამშრომლობის შესახებ დადებული ხელშეკრულების განმტკიცების საშუალება. მან იცოდა, რომ აშშ-ს მთელი რიგი მაღალი თანამდებობის პირებს ვერ გადაეწყვიტათ, თუ რაში გამოადგებოდათ პატარა ქვეყანა, რომელიც საეჭვო ემიგრანტებით იყო სავსე.

თვით გამოძიების ფედერალური ბიურო (აშშ-ს კონტრდაზვერვა) არ გამორიცხავდა, რომ ამოს მანორი შეიძლებოდა კომუნისტების ფარული აგენტი ყოფილიყო, მანორს ახსოვდა, რომ ედგარ ჰუვერის უწყება ხელს უშლიდა 1952 წ. მის ჩამოსვლას აშშ-ში, სადაც იგი დცს-ის მიერ იყო სტუმრად მიწვეული.

ისრაელელები, თავის მხრივ, ყოველ მხრივ ხაზს უსვამდნენ, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული ემიგრანტებისგან ისინი ღებულობდნენ ფართო ინფორმაციას კომუნისტური სისტემის ქვეყნების საშინაო მოვლენების შესახებ. ბენ-გურიონს გაუჩნდა იმედის საფუძველი, რომ ხრუშჩოვის გამოსვლის ტექსტის გადაცემა ხელს შეუწყობდა აშშ-ს და ისრაელს შორის ურთიერთობების შემდგომ განმტკიცებას.

დოკუმენტი იმ სახით, როგორც იგი ვარშავაში გადაიღეს, ისრაელის კურიერმა სასწრაფოდ ჩაიტანა ვაშინგტონში, სადაც ეიზენჰაუერის ადმინისტრაცია გაოცებულ დარჩა ისრაელის შესაძლებლობებით, მოქმედების სისწრაფით და წინდახედულობით. ეს იყო „პირველხარისხოვანი მიღწევა", — განაცხადა ამერიკის დცს-ის დირექტორის მოადგილემ.

ალენ დალესმა დაწვრილებით განიხილა დოკუმენტის შინაარსი თავის ძმასთან- სახელმწიფო მდივან ჯონ ფოსტერ დალესთან ერთად. მათი რეკომენდაციით ეიზენჰაუერმა გადაწვიტა ხრუშჩოვის მოხსენების ტექსტის გამოქვეყნება, რათა საბჭოელები რაც შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა. ამ მოხსენების ტექსტი, ინფორმაციის გაჟონვის შედეგად, გამოჩნდა რამდენიმე ამერიკულ გაზეთში, გავრცელდა რამდენიმე სააგენტოს მიერ და მთლიანად გადაიცა რადიოსადგურების „თავისუფალი ევროპის" და „თავისუფლების" მიერ.

ამ ტექსტის მიღების დამსახურება თითქმის 20-ზე მეტი წლის განმავლობაში აშშ-ს მიეწერებოდა, მაგრამ 80-იან წლებში ცნობილი გახდა, რომ ეს იყო ისრაელის წარმატება, თუმცა, თავდაპირველად, მას მიაწერდნენ „მოსადს" და არა ამოს მანორს და მის ორგანიზაცია „შინ-ბეთს".

შემდეგ „უჩინმაჩინმა" მწერლებმა, მზვერავებზე წიგნების ავტორებმა ინყეს თავის მტვრევა, თუ საიდან მიიღო ისრაელმა ეს მასალა. ახლა იმ დასტურის წყალობით, რომელიც მიღებულ იქნა გრაევსკისა და მანორისაგან, მისი მიღების წყაროს შესახებ დაბეჯითებით შეიძლება ლაპარაკი.

მიუხედავად იმისა, რომ გრაევსკიმ ასეთი დიდი წვლილი შეიტანა ისრაელის დაზვერვის საქმეში, მისდამი დამოკიდებულება არ იყო განსაკუთრებული. 1957 წლის იანვარში, იგი სხვა 309 ათას სხვა პოლონელ ებრაელთან ერთად, რომლებიც გომულკამ მაღალი თანამდებობებიდან მოხსნა და გაუშვა ქვეყნიდან, ჩამოვიდა ისრაელში. გრაევსკი ისევე შეეწყო ისრაელის საზოგადოებაში ცხოვრებას, როგორც სხვა ემიგრანტები.

მან სხვებთან ერთად გაიარა ივრიტის შესწავლის ინტენსიური კურსი, შემდეგ დაიწყო მუშაობა თარჯიმნად ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროში. 60-იან წლებში გრაევსკი იყო ისრაელის სახელმწიფო რადიოში პოლონურ ენაზე რადიოპროგრამების წამყვანი, ხოლო 1970 წლიდან იგი გახდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ისრაელის რადიოგადაცემათა განყოფილების უფროსი.

გრაევსკი, რომელიც ამჟამად პენსიაზეა, იგონებს, რომ როცა იგი ჰაიფას ნავსადგურში ჩამოვიდა, მას მხოლოდ ოჯახის წევრები დახვდნენ. მომდევნო წლებში იგი არასდროს შეხვედრია ამოს მანორს. „ისე მოხდა, — ბოდიშის მოხდით თქვა „შინ-ბეთის" ყოფილმა უფროსმა, — რომ ჩვენ არასდროს დაველაპარაკებივართ ერთმანეთს". „მე მართლაც უცნაურად მეჩვენა, რომ მათ არასდროს არ გადუხდიათ ჩემთვის მადლობა, — აღნიშნა გრაევსკიმ, — მაგრამ არც მე დამიჩივლია ამის გამო".

**იოსი მელმანი,**
**დენ რავივი**

„ვაშინგტონ პოსტი"

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

## ქართველები ბრემენის «ვეზერშტადიონზე»


ზაზა რევიშვილი

ბრემენში გერმანიის ექს-ჩემპიონმა „ვერდერმა" ამხანაგურ მატჩში ვლადიკავკაზის „სპარტაკს" უმასპინძლა. შეხვედრა ფრედ- 2 : 2 დამთავრდა. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ისაა, რომ „ვეზერშტადიონზე" კარგი თამაშით გამოიჩინეს თავი საქართველოს ნაკრების მცველებმა მურთაზ შელიამ და ზაზა რევიშვილმა. ამ უკანასკნელმა გერმანელებს გოლიც კი გაუტანა. ალსანიშნავია ისიც, რომ „სპარტაკის" რიგებში შეცვლაზე საქართველოს ნაკრების წევრობის კიდევ ერთი კანდიდატი, მეკარე იოსებ გრიშიკაშვილი შემოვიდა.

## ფიფა და ჟოელ კინიუ – ყველაზე ეთიკურები

მონტე-კარლოში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ და ფრანგმა მსაჯმა ჟოელ კინიუმ მიიღეს ერთ-ერთი საერთაშორისო ასოციაციის მიერ დაწესებული პრიზი, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა სპორტსმენებს, ფედერაციებსა და შეჯიბრების ორგანიზატორებს სპორტული ეთიკის წმინდად დაცვისთვის. ასოციაციამ ფიფა დააჯილდოვა „ფეირ-ფლეის" ("სუფთა თამაშის") წესებით მოქმედებისთვის (განსაკუთრებით დიეგო მარადონასთან მიმართებაში), ხოლო ჟოელ კინიუ — სანიმუშო სამსაჯო მოღვაწეობისთვის.

## ოკეანიის საუკეთესო ფეხბურთელები


უინტონ რუფერი

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის მიერ მოწყობილი გამოკითხვის შედეგად, ავსტრალიის ნაკრებისა და ბელგიის „სტანდარდის" თავდამსხმელი აურელიო ვიდმარი მიჩნეულია ოკეანიის 1994 წლის საუკეთესო ფეხბურთელად. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს ოკეანიის საფეხბურთო ნაკრებების მწვრთნელებმა, ფეხბურთის ექსპერტებმა და ჟურნალისტებმა.

მეორე ადგილზე გავიდა ოკეანიის ბოლო ათი წლის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი, ახალზელანდიელი უინტონ რუფერი (იგი ადრე ბრემენის „ვერდერში" თამაშობდა, ხოლო 1995 წლის დასაწყისში ერთ-ერთ იაპონურ კლუბთან გააფორმა კონტრაქტი).

მესამე ნომრად ინგლისის „ბლექბერნ როვერსის" ნახევარმცველი, ავსტრალიელი რობი სლეიტერი აღიარეს.

## ხრისტო სტოიჩკოვი – ყველაზე შედეგიანი

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ, რომლის შტაბბინა ქ.ვისბადენში (გერმანია) მდებარეობს, 1994 წლის ყველაზე შედეგიან ფეხბურთელად ბულგარელი ხრისტო სტოიჩკოვი დაასახელა.

ამ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა ითვალისწინებდა ფეხბურთელის მიერ საერთაშორისო მატჩებში გატანილი გოლების რაოდენობას (ნაკრებისა თუ კლუბის შემადგენლობაში).

სტოიჩკოვის ანგარიშზეა 17 გოლი. შემდეგ მოდიან: კორეელი სუნ ხონ ხვანი (16), ბრაზილიელი რომარიო (15), გერმანელები — ულფ კირსტენი (13) და იურგენ კლინსმანი (12), ბრაზილიელი ბებეტო (12), რუმინელი ილიე დუმიტრესკუ (11), შვედები — თომას ბროლინი (10) და ჰენრიკ ლარსონი (10), ლიბერიელი ჯორჯ ვეა (9).

## წააგო თუ არა რომარიომ?

„ფლამენგოს" კლუბის ხელმძღვანელობასა და ბრაზილიის უდიდესი ლუდის კომპანიის „ბრანმას" შორის დადებული კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტი რომარიოს სპონსორობას ითვალისწინებს. „ბრანმას" სიმბოლოდ „ერთიანი" არის მიჩნეული, ამიტომაც ამიერიდან ცნობილ თავდამსხმელს, როგორც კლუბში, ასევე ეროვნულ ნაკრებშიც №1 მაისურის ტარება მოუწევს. სამაგიეროდ, რომარიოსთან კომპანია ცალკე სარეკლამო კონტრაქტს გააფორმებს, რომლის შედეგად „ბარსელონადან" წამოსვლის გამო დაკარგული ფულის კომპენსირება მოხდება. ფეხბურთელმა სამშობლოში დაბრუნებით რამდენიმე მილიონი დოლარი დაკარგა, მაგრამ წააგო თუ არა ამ გარიგებით, ჯერ კიდევ საკითხავია, ვინაიდან 5-6-მა კომპანიამ გამოთქვა მასთან მრავალმილიონიანი კონტრაქტების გაფორმების სურვილი.

რომარიოს დებიუტი თავდამსხმელისთვის უჩვეულო ნომრიანი მაისურით ეროვნული

## ბატისტუტა გაქურდეს და «შეიცოდეს»

მძარცველები მაშინ შეიპარნენ არგენტინელის სახლში, როდესაც ფეხბურთელი ნაკრებთან ერთად საუდის არაბეთში საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში გამოდიოდა. მისი მეუღლე ირინა კი ამ დროს არგენტინაში იმყოფებოდა.

ქურდებმა „შეიცოდეს" ცნობილი თავდამსხმელი და მის მრავალრიცხოვან საფეხბურთო ჯილდოებს ხელი არ ახლეს, თუმცა 35 ათასი დოლარის ღირებულების საიუველირო ნაკეთობანი ხელს მაინც გააყოლეს.


ვიდრე „პადოვას" მცველები ლალასი და როზა ბატისტუტას იჭერდნენ, არგენტინელს ფლორენციაში სახლი გაუქურდეს.

## დესმონდმა «სელტიკს» უშველა

შოტლანდიის ცნობილ „სელტიკს" მოთამაშეებთან ახალი კონტრაქტების გასაფორმებლად და სპორტული ბაზის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი სახსრები ესაჭიროება. ამიტომაც, „სელტიკის" ფანები აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ ირლანდიელმა ბიზნესმენმა დერმოტ დესმონდმა კლუბს ამ მიზნებისთვის 4 მილიონი ფუნტი სტერლინგი გამოუყო.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

# NBA

**„ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ" – „ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ" – 77-93.**

ტურის ცენტრალური მატჩი ჰიუსტონში გაიმართა. ერთმანეთს სეზონში პირველად შარშანდელი სუპერფინალისტები ხვდებოდნენ. საინტერესო იყო ცენტრალური თავდამსხმელების აკიმ ოლაჯუონისა და პატრიკ იუინგის დუელი. ოლაჯუონმა 25 ქულასთან ერთად 17 ფარიდან ასხლეტილი ბურთი მოიგო. იუინგის წვლილი უფრო მოკრძალებული იყო — 15 ქულა და 18 მოხსნა. „ნიქსელთა" შემადგენლობაში საუკეთესო ჯონ სტარქსი იყო — 22 ქულა.

**„ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓᲘ" – „ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ" – 115-122**

„სანსის" კალათბურთელებმა ეს მატჩი მშვენივრად ჩაატარეს. აღსანიშნავია ჩარლზ ბარკლის (30 ქულა +13 მოხსნა) და დენ მარლის (30 ქულა) ბრწყინვალე თამაში. ამასთან მარლის მიერ ჩაგდებული ქულებიდან 18 ბოლო მეოთხედზე მოდის. „პორტლენდელთა" შორის დ.რობინსონი (30 ქულა +11 გადაცემა) და კ.რობინსონი (28 ქულა) გამოირჩეოდნენ. „ბლეიზერსი" თავის ლიდერის კლაიდ დრექსლერის გარეშე თამაშობდა.


დენ მარლი

**„ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ" – „ᲒᲝᲚᲓᲔᲜᲡᲢᲔᲘᲢᲘ" – 112-103**

„საკრამენტოელთაგან" თავი მიტჩ რიჩმონდმა (26 ქულა) და თბილისელთათვის კარგად ცნობილმა სპად ვებმა (18 ქულა) გამოიჩინეს. ჰარდუეისა და ალექსანდრის კარგმა თამაშმა ვერ გადაარჩინა „უორიორზი" მორიგ მარცხს. პირველმა გუნდს 29 ქულა შესძინა, მეორემ კი 20 ქულა და 17 მოხსნა გააკეთა.

**„ᲛᲘᲚᲣᲝᲙᲘ" – „ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ" – 120:115.**

„ბაქსელთა" გამარჯვებაში დიდი წვლილი გ.რობინსონმა (30 ქულა) და დეიმ (29 ქულა) შეიტანეს. „ვაშინგტონიდან" კი საუკეთესონი ჩეპმენი (30 ქულა) და სკაილზი (22 ქულა +12 გადაცემა) იყვნენ.

**„ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ" – „ᲡᲘᲔᲢᲚᲘ" – 87:102.**

„სიეტლი" ერთადერთ გუნდად რჩება NBA-ში, რომელსაც იანვარში არც ერთი მატჩი არ წაუგია — ზედიზედ რვა გამარჯვება. მოედანზე ამ დღეს „სონიქსის შემადგენლობიდან დეტლიფ შრემპფი (22 ქულა), შონ კემპი (20 ქულა +13 მოხსნა) და შარუნას მარჩიულიონისი (10 ქულა) გამოირჩეოდნენ. „მინესოტადან" კი რეიდერი (22 ქულა) და უესტი (16 ქულა).

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ორლანდო | 38 | 31 | 7 | 81,6 |
| ნიუ-იორკი | 35 | 22 | 13 | 62,9 |
| ბოსტონი | 37 | 15 | 22 | 40,5 |
| ნიუ-ჯერსი | 39 | 15 | 24 | 38,5 |
| მაიამი | 36 | 12 | 24 | 33,3 |
| ფილადელფია | 36 | 11 | 25 | 30,6 |
| ვაშინგტონი | 35 | 8 | 27 | 22,9 |

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

| | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|
| კლივლენდი | 36 | 23 | 13 | 63,9 |
| შარლოტა | 36 | 23 | 13 | 63,9 |
| ინდიანა | 36 | 21 | 15 | 58,3 |
| ჩიკაგო | 37 | 18 | 19 | 48,6 |
| ატლანტა | 37 | 16 | 21 | 43,2 |
| მილუოკი | 37 | 14 | 23 | 37,8 |
| დეტროიტი | 34 | 11 | 23 | 32,4 |

ᲨᲣᲐ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

| | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|
| იუტა | 37 | 27 | 10 | 73,0 |
| ჰიუსტონი | 35 | 22 | 13 | 62,9 |
| სან-ანტონიო | 34 | 21 | 13 | 61,8 |
| დენვერი | 36 | 18 | 18 | 50,0 |
| დალასი | 34 | 16 | 18 | 47,1 |
| მინესოტა | 36 | 8 | 28 | 22,2 |

ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

| | თ. | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|---|
| ფინიქსი | 37 | 29 | 8 | 78,4 |
| სიეტლი | 35 | 26 | 9 | 74,3 |
| ლეიკერსი | 34 | 22 | 12 | 64,7 |
| საკრამენტო | 36 | 21 | 15 | 58,3 |
| პორტლენდი | 35 | 18 | 17 | 51,4 |
| გოლდენსტეიტი | 35 | 11 | 24 | 31,4 |
| კლიპერსი | 37 | 6 | 31 | 16,2 |

მოამზადა
ᲒᲝᲒᲐ ᲙᲕᲘᲪᲘᲐᲜᲛᲐ

ᲙᲠᲘᲕᲘ

## ᲓᲘᲓᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ

კრივის მსოფლიო ასოციაციისა და კრივის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით, მძიმეწონოსან პროფესიონალებს შორის მსოფლიო ჩემპიონად აღიარებულმა ჯორჯ ფორმენმა და ამ ტიტულის პრეტენდენტმა გერმანელმა აქსელ შულცმა მოილაპარაკეს, რომ კონტრაქტს მომავალი შეხვედრის შესახებ, რომელიც აპრილში გაიმართება, 1 თებერვალს მოაწერენ ხელს.

სპეციალისტთა აზრით, 47 წლის ფორმენი შეინარჩუნებს ტიტულს, მიუხედავად 26 წლის გერმანელის მუქარისა — ერთხელ და სამუდამოდ წერტილს დაუსვამ ხნიერი ჩემპიონის კარიერასო.

## ᲢᲝᲜᲘ ᲢᲐᲙᲔᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ

კრივის მსოფლიო ფედერაციის — WBC-ის ვერსიით მძიმე წონაში პირველ ნომრად ამერიკელი ტონი ტაკერი დაასახელეს. მეორე ადგილზე კი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ცნობილი ბრიტანელი მოკრივე ლენოქს ლუისია, რომელმაც ახლახანს ტაკერის ყოფილ მწვრთნელთან — ემანუელ სტიუარტთან გააფორმა კონტრაქტი.

## ᲡᲐᲛᲗᲝ-ᲡᲐᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

## ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲔᲢᲐᲞᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ

ნისლის, ქარბუქისა და ძლიერი წვიმების გამო შვეიცარიის ქალაქ აბელბოდენში გასამართი მსოფლიო თასის გათამაშების ბოლოსწინა ეტაპი უკვე ორჯერ გადაიდო. შეგახსენებთ, რომ მომავალ კვირას ესპანეთში მსოფლიო თასის ფინალური ტურნირი გაიმართება.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ

დევისის თასის გათამაშებისთვის ბრიტანეთის ნაკრების ახალ მწვრთნელად დანიშნულია დევიდ ლოიდი, რომელმაც ამ პოსტზე ბილი ნაიჯი შეცვალა. 47 წლის ლოიდმა ბრიტანეთის ჩოგბურთის ფედერაციასთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ-1

## „ᲚᲝᲢᲣᲡᲘᲡ" ᲑᲔᲓᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

მსოფლიო ავტოსპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული გუნდი „ლოტუსი" მომდევნო სეზონში ვერ მიიღებს მონაწილეობას „ფორმულა-1"-ის მსოფლიო ჩემპიონატში. ამის მიზეზი გუნდში შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობაა.

ᲫᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ

## ᲬᲔᲚᲡ

**რამაზ ბურბენიძე (საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი):** ჩვენ ძირითად აქცენტს 4 სპორტსმენზე — ბიძინა მიქიაშვილზე (83კგ.), გიორგი ასანიძეზე (83კგ.), მუხრან გოგიასა (108კგ.) და იგორ კობზევზე (108კგ.) ვაკეთებთ. სწორედ მათ ვამზადებთ ატლანტის ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ახლახან ოთხივეს ოლიმპიური სტიპენდიები დაენიშნა.

1995 წლის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებებია: დიდებისთვის — ევროპის ჩემპიონატი (30 აპრილი-8 მაისი, ქ.ვარშავა, პოლონეთი); მსოფლიო ჩემპიონატი (15-26 ნოემბერი, ქ.პეკინი, ჩინეთი).

იუნიორებისთვის — მსოფლიო ჩემპიონატი (25-31 მაისი, ქ.ვარშავა); ევროპის ჩემპიონატი (8-16 ივნისი, ქ.ბერშედა, ისრაელი).

ატლანტის ოლიმპიადაზე მონაწილეთა ადგილები შემდეგი მაჩვენებლის მიხედვით განაწილდება: სულ IVF (ძალოსნობის მსოფლიო ფედერაცია)-ს მიერ ოლიმპიადაზე 240 სპორტსმენი იქნება დაშვებული. პეკინის მსოფლიო ჩემპიონატში გუნდურ ჩათვლაში 1-8 ადგილებზე გასულ ქვეყნებს უფლება აქვთ ატლანტაში სრული შემადგენლობით (10 სპორტსმენით) იასპარეზონ; 9-16 ადგილებზე გასულთ — 7-7 ადგილი მიეცემათ; 17-25-ეს- 5-5 ადგილი; 26-34-ეს — 3-3 ადგილი.

აფრიკას ე.წ. „ველური ბარათებით" 4 ადგილი აქვს დაბევებული, სამხრეთ ამერიკასა და ოკეანიას კი — 3-3 ადგილი.

ჩემი პროგნოზი ასეთია: ჩვენ, ალბათ, 5 სპორტსმენის გამოყვანის უფლებას მოვიპოვებთ და მერე დრო გამოაჩენს, ატლანტაში რამდენი კაცის წაყვანას მოვახერხებთ.

გვყავს კიდევ ერთი სპორტსმენი, მძიმეწონოსანი კობა ტალახაძე — ყოფილი სსრკ-ს იუნიორთა შეჯიბრებების მრავალგზის პრიზიორი. იგი მძიმე ეკონომიკური პირობების გამო ვარჯიშს ველარ ახერხებს. თუ სპონსორი გამოუჩნდება, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის კიდევ ერთი კანდიდატი გვეყოლება.

ესაუბრა
ᲒᲝᲩᲐ ᲡᲐᲘᲗᲘᲫᲔ

GEORGIAN MARITIME BANK



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲑᲐᲜᲙᲘ

საქართველოს საზღვაო სააქციო კომერციული ბანკი
ბათუმი, 384517
გოგებაშვილის №60.
ტ.: 3-54-69, 2-00-50
ფაქსი: 873 1405477
ტელექსი: 412616 GESC SU

THE GEORGIAN MARITIME BANK
60, Gogebashvili
Batumi, 384517
Republic of Georgia
Phone: 2-00-50, 3-54-69
Fax: (873) 1405477
Telex: 412616

საზღვაო ბანკი
მომავლის ბანკი

ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲐᲠᲘᲤᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲓᲦᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲨᲘ

ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲝᲜᲕᲔᲠᲢᲐᲪᲘᲐ

ᲜᲐᲦᲓᲘ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲘᲜᲙᲐᲡᲐᲪᲘᲐ

ᲒᲐᲪᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲐ

GMB

შვილები ნინო, თამარ ნიკოლავები,
სიძე მერაბ თოფურია, შვილიშვილები ანდრო, ლევან,
გიორგი თოფურიები, ძმა ბახვა ნიკოლავა ოჯახით,
დები გულნარა, ლოლი, ლიდია ოჯახებით,
უახლოესი ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ
გარდაიცვალა

ᲕᲐᲟᲐ ᲛᲐᲠᲙᲝᲖᲘᲡ ᲫᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲕᲐ

ᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲓᲘ 27,28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ,
ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ 29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ, 13 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲭᲝᲞᲝᲠᲢᲘᲡ Ქ. 2.

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ:

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲛᲐᲦᲚᲐᲤᲔᲠᲘᲫᲔ (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე), ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲤᲐᲩᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ (მთავარი რედაქტორი), ᲞᲐᲐᲢᲐ ᲕᲔᲨᲐᲞᲘᲫᲔ (რედაქტორი), ᲒᲘᲕᲘ ᲑᲝᲚᲝᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ (უცხოეთი), ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲐᲮᲐᲑᲔᲠᲘ („თვალსაწიერი"), ᲨᲐᲓᲘᲛᲐᲜ ᲨᲐᲛᲐᲜᲐᲫᲔ (პუბლიცისტიკა), ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲡᲐᲚᲘᲐ (გაზეთის დირექტორი), ᲑᲝᲜᲓᲝ ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ (პასუხისმგებელი მდივანი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 29-48-05.